

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ნანა ხაზარაძე
НАНА ХАЗАРАДЗЕ
NANA KHAZARADZE

ლუვიური იეროგლიფების
სემანტიკური კოდები
СЕМАНТИЧЕСКИЕ КОДЫ
ЛУВИЙСКИХ ИЕРОГЛИФОВ
SEMANTIC CODES OF LUWIAN
HIEROGLYPHS

II

თბილისი – ТБИЛИСИ – TBILISI
2017


რედაქტორი, აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე**

Редактор, Академик **Тамаз Гамкrelidze**

Editor, Academic **Tamaz (Thomas) Gamkrelidze**

საკუთარი სახელის TELIPINU ამსახველი ლუვიური იეროგლიფის განეზისისათვის

ადრე გამოქვეყნებულ ერთობლივ ნაშრომებში არაერთ-გზის აღვნიშნავდით [1] და ახლაც გავიმეორებთ, რომ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობის შემქმნელი ავტორი თუ ავტორები სრულყოფილად ფლობდნენ ინფორმაციას ძველი ანატოლიის გეოგრაფიული გარემოს, ლანდშაფტის, კლიმატის, ფლორის, ფაუნის, მეურნეობის სხვადასხვა სახეობათა (მემინდვრეობა, მეზღლეობა, მევენეახეობა, მესაქონლეობა), ყოფასთან დაკავშირებული ატრიბუტიკის, შეიარაღების, არქიტექტურის, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის და სხვა საკითხების შესახებ.

ამჯერად, ჩვენი კვლევის ობიექტი საკუთარი სახელის თელიპინუ აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფია  [2, №150], რომელიც მარადმწვანე ხის სახითაა წარმოდგენილი.

რაკი ხეთური ლურსმული დამწერლობით შესრულებულ წერილობით წყაროებში ანთროპონიმი Telipinu და მისი ფონეტიკური ვარიანტები სხვადასხვა დროის წყაროებში სხვადასხვა დეტერმინატივებითაა აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია მარადმწვანე ხით წარმოდგენილი იეროგლიფის ადრესატი.

ხეთური წერილობითი ძეგლები თელიფინუს სახელით სამ სხვადასხვა პირს იხსენიებს: თელიპინუ (ხეთების მეფე), DTelipinu (ღვთაება თელიფინუ), DTalpinu ღვთაება თელიფინუ (ხათური თეონიმი, „გამოჩენილი ვაჟიშვილი“) [3,...; 166, 167]. სავარაუდოდ, ჩვენთვის საინტერესო საკუთარი სახელის საწყისი ფორმა სწორედ ხათური Talpinu უნდა იყოს.

თუ ზემოხსენიებულ დასახელებული სახელწოდებების შემცველ ტექსტებს ერთიმეორეს შევუდარებთ, იმ ერთმნიშ-

ვნელოვან დასკვნამდე მივალთ, რომ ხის გამოსახულებით საკუთარი სახელის „თელიფინუს“ წარმოსახვის გენეზისი მოკვდავ და აღდგენად ბუნებასთან დაკავშირებულ იმ მითს წარმოადგენს, რომლის მთავარი გმირი ღვთაება თელიფინუა. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ამ მითში მარადმწვანე ხეს ცენტრალური ადგილი ეთმობა. შამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მართებული თვალსაზრისით, ხათის ქვეყანაში დიდად პოპულარული იყო მითი ღვთაების შესახებ, რომელიც ქრება და შემდეგ კვლავ მოევლინება ქვეყანას. ამ მითის რამდენიმე ვერსია შემოინახა. მოქმედების არეალი და მოქმედი პირები ადასტურებენ მის ხათურ სუბსტრატს. ღვთაების გაქრობა იწვევს გვალვას, ბუნების ჭკნობას. დანარჩენ ღვთაებათა ცდები – იპოვონ და დააბრუნონ გამქრალი ღვთაება, წარმატებით მთავრდება, რასაც მოჰყვება აღორძინება. გამქარლი ღვთაების როლში სხვადასხვა ღვთაება გამოდის: ხათური თელიფინუ ან ტაროსის ღვთაება.

...რალაცაზე განრისხებული თელიფინუ, ტაროსის ღვთაების ვაჟი, სადღაც გადაკარგულა და ყოველი სიკეთე თან წაუღია... ამის გამო, დედამინაზე სუნთქვა აღარ შეიძლებოდა, საქონელი ნადგურდებოდა და აღარ მრავლდებოდა, ადამიანებსაც იგივე ბედი სწვევიათ. მცენარეული სამყარო გამხმარა, დედამინაზე შიმშილი დამკვიდრებულა. დიდი და მცირე ღვთაებები საგონებელში ჩავარდნილან, თელიფინუ თუ ვერ იპოვეს, შიმშილით სული ამოხდებათ. დაიწყეს მისი ძებნა. მაგრამ დიდმა და მცირე ღვთაებებმა თელიფინუს კვალს ვერ მიაგნეს. ვერც ფრთამალმა არნივმა, ვერც ღვთაება ტაროსმა. მაშინ ღვთაებათა ქალბატონი ნინთუ იხმობს ფუტკარს და არიგებს მას, თუ როგორ მოძებნოს თელიფინუ. თუკი იპოვის, ფეხები და ხელები ნესტრით დაუჩხვლიტოს,

წამოაყენოს და ღვთაებას მიჰგვაროს. ფუტკარი გადალახავს მთებს, ხეობებს, მდინარეებს, წყაროებს და ქ. ლიხცინაში მიაგნებს მძინარე თელიფინუსს, ნესტრით დაჩხვლევს მას და გამოაღვიძებს. ახლა კვლავ განრისხდება ღვთაება – ნაკადულეებს აჩერებს, მდინარეებს მიმართულებას უცვლის, ხალხს ღუპავს, საქონელს წყვეტს...

ამის შემდეგ მითში დაწვრილებითაა აღწერილი რიტუალი, თუ თელიფინუსს სხეულისაგან როგორ უნდა განარიდონ გულისწყრომა, მძვინვარება, რისხვა. რიტუალის შემდეგ თელიფინუ კვლავ ბრუნდება და იწყებს ზრუნვას ქვეყნიერებაზე. მის წინ აღმართება მარადმწვანე ხე ეია, რომელზედაც ჰკიდია საწმისი – სიმრავლის, სიუხვის, გამრავლების, დღეგრძელობის, სიცოცხლის სიმბოლო.

თელიფინუსს მითოსის მიხედვით, ღვთაება თელიფინუ ზრუნავს მეფეზე. თელიფინუსს წინ აღმართულია (მარადმწვანე) ხე ეია, რომელზედაც ჰკიდია ცხვრის ტყავი (საწმისი). მასში მოთავსებულია ქონი, ქერი, ხორბალი და ღვინო, ხარი და ცხვარი, ხანგრძლივი სიცოცხლე და შთამომავლობა.

რაც შეეხება თავად მარადმწვანე ხის გამოსახულებას, შემდეგია აღსანიშნავი: ერთი ^{GiS}ei_a-ს „ნაძვთან“ აიგივებენ, მეორენი – „მუხასთან“, მესამენი, ხის სახეობის დაზუსტების გარეშე, ტერმინს ^{GiS}ei_a- თარგმნიან როგორც „მარადმწვანე ხე“ [4].

1984 წ. ^{GiS}ei_a-ს ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ახალი თვალსაზრისი გამოითქვა. თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა ხეთური წერილობითი წყაროების ^{GiS}ei_a- ურთხელთან (Taxus-თან) გააიგივეს და იგი მსოფლიო ხედ მოიაზრეს [5, 628-631]. ამ ახალ თვალსაზრისს საფუძვლად შემდეგი ძირითადი მონაცემები უდევს: 1. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თანახმად, საერთოინდოევროპულის დონეზე „ურთხელის“ (Taxus-ის) აღსანიშნავად *ei/*oi ფორმა აღდგება, რომელიც

ფონეტიკურად eja -ს იდენტურია; 2. ხეთური წერილობითი წყაროების $GIS^{\S}eja$ -სთან დაკავშირებული მითები და რიტუალები დიდ სემანტიკურ სიახლოვეს ინდოევროპულ (გერმანულ, ნორვეგიულ, საქსონურ, ძველკელტურ) იმ ტრადიციებთან ავლენენ, ურთხელთან რომაა დაკავშირებული. კერძოდ, ირკვევა, რომ გერმანულ კულტურულ ტრადიციაში მარადმწვანე ურთხელი სიკვდილის შემდეგ აღორძინების სიმბოლოს წარმოადგენდა. ძველსკანდინავურ ენაზე დაწერილ ერთ-ერთ პოეტურ ტექსტში ურთხელს უმღერიან, როგორც ზამთარში ხეთა შორის ყველაზე მწვანეს. ანგლო-საქსები ურთხელს საფლავებთან რგავდნენ. აქ ეს ხე მარადიულ სიცოცხლეს და მკვდრეთით აღდგომას ასახიერებდა. წმინდა ხედ მიიჩნევდნენ ურთხელს ძველი კელტებიც და ა.შ. [5, 630.]

ზემოაღნიშნულთან ერთად შემდეგიცაა გასათვალისწინებელი: ხეთური ტექსტი, რომელიც კერის დადგმის რიტუალის აღწერას ეძღვნება, გვამცნობს, რომ სხვა საგნებთან და მცენარეებთან ერთად, კერასთან: $GIS^{\S}eja$ -ს დგამენ და ასე (ამბობენ): “ (როგორც) $GIS^{\S}eja$ - (არის) მუდამ ამწვანებული და (მას) ფოთლები არ სცვივა, დაე, მეფე და დედოფალიც ასევე „ამწვანებულნი“ იყვნენ“ დაე, მათი სიტყვა ასევე მარადიული იყოს” (KUB, XXIX, I, 4, 17-20) [6, 142-151].

მოყვანილი ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ ჩვენთვის საინტერესო $GIS^{\S}eja$ - მარადმწვანე მცენარეა. ისიც ირკვევა, რომ ხეთების რწმენა-წარმოდგენებში $GIS^{\S}eja$ - მარადიულობის სიმბოლოს ასახიერებდა. ციტირებული ხეთური ტექსტი კიდევ ერთ საგულისხმო მომენტს შეიცავს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ $GIS^{\S}eja$ -ს მაინცდამაინც კერასთან დგამენ.

სრულიად განსაკუთრებული როლი აქვს განკუთვნილი $GIS^{\S}eja$ -ს თელეფინუს მითში. აქ იგი მითის ფინალურ ნაწილში ფიგურირებს, სადაც „გაქცეული“ ღვთაების – თელეფი-

ნუს დაბრუნებაა აღწერილი. ხეთურ ტექსტში (KUB, XII, 10; XXIII, 2) ნათქვამია: „თელეფინუ დაბრუნდა და იწყო ზრუნვა ქვეყნიერებაზე... თელეფინუმ ბაკი ცხვრებით გაავსო, ბოსელში საქონელი შერეკა. მშობელი შვილზე ზრუნავს, ცხვარი – ბატკანზე, ძროხა – ხბოებზე. თელეფინუ მეფე-დედოფალზე, მათ მომავალ ცხოვრებაზე და სიცოცხლეზე ზრუნავს. თელეფინუზე კი მეფე ფიქრობდა. თელეფინუს ნინ ^{GIŠ}ēja-ს დგამენ. ამ ხეზე ცხვრის სანმისს ჰკიდებენ, იგი ცხვრის პოხიერების სანინდარია, მარცვლეულის სიუხვის, ნადირთ სიუხვის, ღვინის სიუხვის, დლეგრძელობისა და გამრავლებისა. იგი მოასწავებს ცხვრის სიცოცხლეს, ზრდა-სიმრავლეს, სიმსუქნეს; მაშინ თელეფინუ მეფეს ცხვრის ტყავს მიართმევს და ყველა სიკეთეს უხვად უბოძებს“[7].

ამგვარად, მოკვდავ და აღორძინებად ღვთაება თელეფინუსთან დაკავშირებულ სანმისს ჰკიდებენ. სანმისი ნაყოფიერების, გამრავლების, დლეგრძელობის, მეფე-დედოფლის განახლებისა და ყოველივე კეთილის სანინდარია.

^{GIŠ}ēja-ს განსხვავებულ კონტექსტებშიც ვხვდებით. ხეთური კანონების 1 ფირფიტის §50-დან ვგებულობთ, რომ როდესაც ქ. არინაში XI თვე დადგებოდა, იმისი სახლი, ვის ჭიშკარზეც ^{GIŠ}ēja- გამოჩნდებოდა, სახელმწიფო ბეგარის (ლუცის) მოხდისაგან თავისუფლდებოდა [8, 41]. ხეთური კანონების ეს მუხლი რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსის შემცველია. უპირველეს ყოვლისა, კარგად ჩანს, რომ ^{GIŠ}ēja-თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. იმასაც ვგებულობთ, რომ ეს სიმბოლო განთავისუფლებულის სახლის ჭიშკარზე თავსდებოდა. დაბოლოს, როგორც ირკვევა, დადასტურებას ჰპოვებს კერის დადგმის რიტუალისადმი მიძღვნილი ზემომითითებული ტექსტის ის მნიშვნელოვანი ჩვენებაც, რომ ^{GIŠ}ēja- მარადმწვანე მცენარის აღმნიშვნელი სახელწოდე-

ბა იყო. გ. გიორგაძემ ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ საკანონმდებლო ხასიათის ისტორიულ დოკუმენტში, ლუცისაგან განთავისუფლებისა და განთავისუფლებულის სახლის ჭიშკარზე ამ აქტის მაუნყებელი სიმბოლოს $GIS^S eja$ -ს გამოჩენის დროდ XI თვეა განსაზღვრული, რომელიც ჩვენი კალენდრის იანვარ-თებერვალზე მოდის [9, 320]. წლის ამ დროს კი სიმწვანე მხოლოდ მარადმწვანე მცენარეს შეიძლება ჰქონდეს შენარჩუნებული და არა რომელიმე ფოთლოვან ხეს (მუხის ჩათვლით) [10, 270].

თავისუფლების სიმბოლოდ გვევლინება $GIS^S eja$ - KUB, XIII, 8, 1-12-შიც, სადაც სახანისა და ლუცისაგან ახლადმექმნილი „ქვის სახლის“ (EN.A₄) განთავისუფლების შესახებაა საუბარი [11, 30-32].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ $GIS^S eja$ - მარადმწვანე ხე იყო. იგი მარადიულობას, ულევ სასიცოცხლო ძალას, ნაყოფიერებას, მოკვდავ და აღორძინებად ბუნებას და თავისუფლებას ასახიერებდა.

როგორც აღინიშნა, ჩვენი ვარაუდით, თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ახალ თვალსაზრისს ურთხელთან ხეთური წყაროების $GIS^S eja$ -ს გაიგივების შესახებ, ინდოევროპულ მითოლოგიურ ტრადიციებთან ერთად ქართულიც უჭერს მხარს.


ამგვარად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივია, რომ ლუვიური იეროგლიფური დამწერლობის ავტორმა თუ ავტორებმა თეონიმის თელეფინუს წარმოსაჩენად მაინცადამაინც მარადმწვანე ხის – $GIS^S eja$ -ს გამოსახულება გამოიყენეს, რომელიც მარადიულ სიცოცხლეს, ნაყოფიერებას, თავისუფლებას, კოსმიურ წესრიგს და მეფის ხელისუფლების მარადიულობას ასახიერებდა.

დამონმებული პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა

1. ხაზარაძე ნ., ბახსოლიანი ნ., ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიის და კულტურის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბილისი, 2012.
2. Laroche E., Les hiéroglyphes hittites, I, 1960.
3. ტატიშვილი ი., ხეთური ლექსიკონი, ნაკვეთი 7..., მისივე ხეთური რელიგია, თბილისი, 2001.
4. ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ., წმინდა ხის კულტი საქართველოში (მითოლოგიური პარალელები), თბილისი, 1999, 61გვ.
5. Т.В. Гамкрелидзе, В.В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси, 1984.
6. ი. ტატიშვილი, კერის დადგმის ხეთური რიტუალი (KUB, XXIX, I, III, 37-IV 29); „არქეოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 1985.
7. „არმაღანი“, თბილისი, 1982; ხეთური ტექსტის ქართული თარგმანი ნ. ბენდუქიძეს ეკუთვნის.
8. გ. გიორგაძე, ხეთური „საიმუნტიტო სიგელები“, „მაცნე“, (ისტორიის სერია), 1976, №4.
9. J. Friedrich, A. Kammenhuber, Hethitisches Wörterbuch, L. Fr., 4, Heidelberg, 1979.
10. V. Haas, Bemerkungen zu GIŠeja-(n)-, AF, Berlin, 1977.
11. Г. Гиоргадзе, Очерки по социально-экономической истории Хеттского государства, Тбилиси, 1973.

К ГЕНЕЗИСУ ЛУВИЙСКОГО ИЕРОГЛИФА, ОБОЗНАЧАЮЩЕГО СОБСТВЕННОЕ ИМЯ TELIPINU

В опубликованных ранее совместных работах мы неоднократно отмечали [1] и сейчас повторим, что автор или авторы-создатели лувийской иероглифической письменности в совершенстве владели информацией о географической среде, ландшафте, климате, флоре, фауне, разных отраслях хозяйства (полеводство, садоводство, виноградарство, скотоводство), быте древней Анатолии и прочих вопросах, связанных с атрибутикой, орудиями, архитектурой, социальной структурой древнеанатолийского общества.

На сей раз объектом нашего исследования является лувийский иероглиф  [2, № 150], обозначающий собственное имя Telipinu, который представлен в виде вечнозеленого дерева.

Поскольку антропоним Telipinu в письменных источниках, выполненных хеттской клинописью, и его фонетические варианты в источниках разных эпох обозначены разными детерминативами, прежде всего следует выяснить адресата иероглифа, представленного вечнозеленым деревом.

В хеттских письменных памятниках под именем Телипину упоминаются три разных лица: Телепину (царь хеттов), ^DTelipinu (божество Телепину) и ^DTalaripinu (божество Телепину; хаттский теоним, «избранный сын»)[3,...; 166, 167]. Предположительно, начальной формой интересующего нас имени собственного должна быть именно хаттская форма Talaripinu.

Если мы сравним тексты, содержащие выше упомянутые имена, то приходим к однозначному заключению: генезис изображения имени собственного «Телепину» посредством дерева

с мифом, связан с умирающей и обновляющейся природой, главным героем которого является божество Телепину. Особенно примечательно то, что в этом мифе центральное место отводится вечнозеленому дереву. Как в свое время отмечал Г. Гиоргадзе, «в стране Хатти весьма популярен был миф об исчезающем и вновь появляющемся божестве». Сохранилось несколько версий этого мифа. Ареал действия и действующие лица свидетельствуют о его хаттском субстрате. Исчезновение божества влечет за собой засуху, увядание природы. Попытки остальных божеств отыскать и вернуть исчезнувшее божество заканчиваются успехом _ возрождением и обновлением жизни. В роли исчезнувшего божества выступают разные божества: хаттский бог Телепину или Тару.

Разгневанный по какой-то причине Телепину, сын бога грозы Тару, куда-то исчез и забрал с собой все блага... Поэтому на земле стало невозможно дышать, скот вымирал, перестал размножаться. Та же участь постигла и людей. Растения увяли. На земле воцарился голод. Великие и малые божества задумались: если Телепину не отыщется, все погибнут от голода. И начали его искать. Но ни великим, ни малым божествам не удалось напасть на след Телепину. Ни быстрокрылому орлу, ни божеству Тару. Тогда богиня-мать Нинту призывает к себе пчелу и наставляет её, как найти Телепину. Если найдет, то она должна ужалить его в ноги и руки, поднять и привести с собой. Пчела преодолет горы, ущелья, реки, источники и, наконец, в г. Лихцина найдет спящего Телепину и своим жалом разбудит его. Телепину вновь впадает в ярость _ останавливает ручьи, меняет русла рек, истребляет людей и скот...

Далее в мифе подробно описывается ритуал, как из Телепину изгоняют гнев, неистовство, буйство. После

совершения ритуала Телепину возвращается назад и вновь начинает заботиться о земных благах. Перед ним возвысится вечнозеленое дерево эйя, на котором висит руно – символ жизни, приумножения, изобилия, плодovitости, долголетия.

Согласно мифу о Телепину, «божество Телепину заботится о царе. Перед ним поставили (вечнозеленое) дерево эйя, на которое повесили баранью шкуру (руно). В эту шкуру вложили баранье сало, зёрна (ячмень, пшеницу), вино, быка и овцу, многолетие и потомство»[4, 165-166].

Что касается самого изображения вечнозеленого дерева, следует заметить следующее: одни исследователи отождествляют его с ^{Giš}eiġa- _ «елью», другие _ с «дубом», третьи не уточняют названия дерева. Термин ^{Giš}eiġa- переводят как «вечнозеленое дерево» [5].

В 1984 году относительно интерпретации термина ^{Giš}eiġa- была высказана новая точка зрения. Т. Гамкрелидзе и В. Иванов ^{Giš}eiġa- хеттских письменных источников идентифицировали с тисом (*Taxus*) и назвали его мировым деревом [6, 628-631]. В основу этой новой версии легли следующие доводы: 1. Согласно Т. Гамкрелидзе и В. Иванову, на общеиндоевропейском уровне для обозначения «тиса» (*Taxus*) восстанавливается форма ***ei/*oi**, фонетически идентичная форме **eiġa-**; 2. Мифы и ритуалы, связанные с ^{Giš}eiġa-хеттских письменных источников, обнаруживают большую семантическую близость с теми индоевропейскими (германскими, норвежскими, саксонскими, древнекельтскими) традициями, которые связаны с тисом. В частности, выясняется, что в германской культурной традиции вечнозеленый тис являлся символом возрождения после смерти. В одном из поэтических текстов, написанном на древнескандинавском языке, тис воспевается как самое

зеленое среди деревьев зимой. Англосаксы сажали тис возле могил. У них это дерево ассоциировалось с вечностью жизни и воскрешением из мертвых. Священным деревом тис считался и у древних кельтов и т. д. [6, 630].

Наряду с вышесказанным следует принять во внимание следующее: хеттский текст, посвященный описанию ритуала закладывания основания здания (устройства очага), сообщает нам, что вместе с другими предметами и растениями у очага сажают ^{Giš}eja-, приговаривая: «(как) ^{Giš}eja- вечно зелено, и (с него) не спадает листва, пусть царь и царица будут такими же вечными, пусть их слова и дела будут такими же бессмертными» (KUB, XXIX, I, 4, 17-20) [7, 142-151].

Из приведенного фрагмента отчетливо явствует, что интересующее нас ^{Giš}eja- _ вечнозеленое растение. Выясняется также и то, что в верованиях и представлениях хеттов ^{Giš}eja- олицетворяло символ вечности. Цитированный хеттский текст содержит еще один интересный момент _ то, что ^{Giš}eja- ставят именно возле очага.

Совершенно особая роль отводится ^{Giš}eja- (тису) в мифе о Телепину, где это дерево фигурирует в финальной части мифа, в которой описывается возвращение «сбежавшего» божества _ Телепину. В хеттском тексте (KUB, XII, 10; XXXIII, 2) говорится: «Телепину вернулся и позаботился о стране... Телепину наполнил загоны овцами, загнал в хлев скот. Мать стала ухаживать за своим дитятей, овца стала ухаживать за своим ягненком, корова стала ухаживать за своим теленком. Телепину (позаботился) о царе и царице, он позаботился о том, чтобы даровать им жизнь и силу на будущее. О Телепину же думал царь. Перед Телепину поставили ^{Giš}eja-. На это дерево было повешено овечье руно _ оно считается залогом жирности

овцы, обилия зерновых, обилия дичи, обилия вина, долголетия и плодovitости, оно предвещает жизнь, приумножение, рост и упитанность овцы; тогда Телепину преподносит царю овечью шкуру и жалует ему обилие всех благ» [8].

Таким образом, перед умирающим и возрождающимся божеством Телепину вешают руно _ залог плодovitости, размножения, долголетия, обновления жизни царя и царицы и всех благ.

Дерево ^{Giš}eja- мы встречаем и в иных контекстах. Из §50 первой таблицы хеттских законов узнаем, что, когда в городе Аринна наступал XI месяц, ... «тот, в воротах чьего дома виднеется вечнозеленое священное дерево ^{Giš}eja-, накрепко свободен от повинностей» [9, 41]. Данная статья хеттских законов содержит несколько важных нюансов. Прежде всего, очевидно, что ^{Giš}eja- представляло собой символ свободы. Кроме того, мы узнаем, что этот символ закреплялся на воротах дома человека, обретшего свободу. И наконец, как выясняется, находит подтверждение и то важнейшее свидетельство относительно ритуала закладывания очага, описанию которого посвящен вышеприведенный текст, что ^{Giš}eja- обозначало название вечнозеленого растения. Г. Гиоргадзе обратил внимание на то обстоятельство, что в историческом документе законодательного характера временем освобождения от луцци (барщины) и символом возвещения этого акта _ появление на воротах дома освободившегося человека ^{Giš}eja- _ определен XI месяц, приходящийся согласно нашему календарю на январь-февраль [10, 320], а в это время года зеленым остается только вечнозеленое растение, а не какое-либо лиственное дерево (в том числе дуб)[11, 270].

Дерево ^{Giš}eja- олицетворяет свободу и в KUB, XIII, 8, 1-12,

где говорится об освобождении от саххана (оброка) и луцци новосозданного «каменного дома» (EN.A4) [12,30-32].

Исходя из всего вышесказанного, мы приходим к несомненному выводу, что ^{Giš}eja- было вечнозеленым деревом, символизирующим неиссякаемые жизненные силы, плодovitость, увядающую и возрождающуюся природу и свободу.

Как мы уже отмечали, на наш взгляд, точку зрения Т. Гамкрелидзе и В. Иванова об отождествлении с тисом вечнозеленого дерева ^{Giš}eja- хеттских источников, наряду с индоевропейскими мифологическими традициями, поддерживает и грузинская традиция.

Таким образом, с учетом вышесказанного вполне естественно, что автор или авторы лувийской иероглифической письменности для передачи теонима Телепину использовали именно изображение вечнозеленого дерева ^{Giš}eja-, символизирующего вечную жизнь, плодородие, свободу, космический порядок и непоколебимость царской власти.

Использованные первоисточники и научная литература

1. Хазарадзе Н., Бахсолиани Н. Источниковедческие разыскания по истории и культуре древнего Ближнего Востока. _ Тбилиси, 2012. _ Груз.
2. Laroche E., Les hiéroglyphes hittites, I, 1960.
3. Тагишвили И. Хеттский словарь. Часть 7; Егоже. Хеттская религия. _ Тбилиси, 2001. _ Груз.
4. Гиоргадзе Г. Странатысячибожеств. _ Тбилиси, 1988. _ Груз.
5. Хазарадзе Н., Цагареишвили Т. Культ священного дерева в Грузии (мифологические параллели). _ Тбилиси, 1999. _ 61 с. _ Груз.
6. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В. Индоевропейский язык и индоевропейцы. II. -Тбилиси, 1984.

7. Татишвили И. Хеттский ритуал закладывания очага(KUB, XXIX, I, III, 37-IV 29) // «Археологиური ძეგლები». _ Тбилиси, 1985. _ Груз.
8. «Армаган» / Перевод хеттского текста на грузинский Н. Бендукидзе. _ Тбилиси, 1982. _ Груз.
9. Гиоргадзе Г. Хеттские «иммунитетные грамоты» // «Мацне» (серия истории), 1976, № 4.
10. J. Friedrich, A. Kammenhuber, Hethitisches Wörterbuch, L. Fr., 4, Heidelberg, 1979.
11. V. Haas, Bemerkungen zu GIŠeja-(n)-, AF, Berlin, 1977.
12. Гиоргадзе Г. Очерки по социально-экономической истории Хеттского государства. - Тбилиси, 1973.

ON THE GENESIS OF THE LUWIAN HIEROGLYPH DENOTING PROPER NAME TELIPINU

As a result of the conducted research, it is demonstrated that to render the theonym Telipinu the author or authors of the hieroglyphic Luwian script used exclusively the representation of the evergreen tree -GIŠeja, which was the symbol of eternal life, fertility, freedom, cosmic order and eternity of the royal authority.

უზენაესი ღვთაების თარხუნთის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები

გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. IX-VIII ს-ის სამეფო-სამთავროებში ყველაზე პოპულარულ ღვთაებას თარხუნთი წარმოადგენდა. ამ ღვთაების სახელი შემდეგი ლუვიური იეროგლიფითაა წარმოდგენილი **𐎗𐎎𐎍**. როგორც წესი, მას „ცის ღვთაების“ აღმნიშვნელი იეროგლიფი ახლავს, იმ განსხვავებით, რომ ძვ. წ. IX ს. წერილობით ძეგლებში ეს იეროგლიფი თარხუნთის სახელწოდების ქვემოთაა განთავსებული, ხოლო ძვ. წ. VIII ს. წარწერებში - ზემოთ. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში, ღვთაების სახელი იკითხება როგორც „ღვთაება თარხუნთი ცისა“, ხოლო მეორე შემთხვევაში, „ცის ღვთაება თარხუნთი“. რაც შეეხება ღვთაება თარხუნთის აღმნიშვნელ იეროგლიფს, იგი სხვა არაფერია, თუ არა მამაკაცის სათესლე ჯირკვლების გამოსახულება (ხეთური (anat.) arki-, შეესაბამება შუმერული **ŠIR**); ^(KUŠ)laplai-?; tašku-(c) (?) ლათინური testis). აქვე იმასაც დავძენთ, რომ იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში თარხუნთის აღმნიშვნელი იეროგლიფის მსგავსი კიდევ ერთი იეროგლიფი მოწმდება **𐎗𐎎**, რომელიც „ძლევა მოსილს“, „ძლიერს“ აღნიშნავს. ჩვენს მიერ მოძიებული და ქვემო მოყვანილი მონაცემებიდან დავინახავთ, რომ აღნიშნული იეროგლიფები სავსებით ადეკვატურად ასახავენ თარხუნთთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ჩვენებებს, სადაც ეს ღვთაება მიწისა და წყლის ნაყოფიერების მინიჭების, ძლევა მოსილების და ძლიერების, ბუნების ძალთა მპყრობელის (ჭექა-ქუხილის) სიმბოლოდაა წარმოდგენილი.

იეროგლიფურ-ლუვიური პანთეონის ამ უზენაესი ღვთაების მოხსენიებას ვხვდებით როგორც ძვ. წ. II ათასწლეულის

წერილობით ძეგლებში ემირგაზი, იაზილიქია, ალაჯა-ჰუი-უქი, ყარა-ჰუიუქი-ელბისტანი, ჩალდინი) [1, №19, 20, 52, 55, 101, 156], ასევე გვიანხეთური ხანის წარწერებშიც (ივრიზი, ქარხემიში, A16, 156, კულულუ I, ყარათეფე, სულთანხანი, ბორი, ჩიფლიქი, ჩალაფვერდი) [1, №7, 10, 11, 12, 13, 18, 20, 24, 30]. მაგრამ ყველაზე პოპულარულ ღვთაებად თარხუნთი მაინცდამაინც გვიანხეთურ ხანაში ხდება.

გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ ადრეულ წარწერებში, ისევე როგორც ხეთური ხანის წარწერებში, ჩვენთვის საინტერესო ღვთაების – თარხუნთის აღმნიშვნელად იეროგლიფურ-ლუვიურ ლოგოგრამას, რომელიც თარხუნთის გარდა, თეშუბის და შესაძლოა, დათას (თათას) სახელებსაც გადმოსცემდა, როგორც წესი, ფონეტიკური კომპლემენტები არ ახლავს [2, 85, 271], ხოლო ძვ. წ. VIII ს-ის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში იგივე ღვთაების სახელწოდება, უმთავრესად, ფონეტიკური დამატებებითაა გაფორმებული (^PTRH-hu-t-s, ^PTRH-ti-a, ^PTRH-ta-ti-a, ^PTRH-hu-in, ^PTRH-hu-ti-a, ^PTRH-hu-ta-is და სხვ. ფონეტიკური კომპლემენტები გვამცნობენ სახელის ფუძის შემადგენლობას და ფლექსიას.

გვიანხეთური ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებში თარხუნთი (ისევე როგორც მასთან ერთად მოხსენიებული სხვა ღვთაებებიც: ქუბაბა, მზისა და მთვარის ღვთაებები, ქარხუხა და ა.შ.) წარწერის როგორც შესავალ, ასევე, დასკვნით ნაწილებში დასტურდება. წარწერის შესავალში იგი მისი ავტორის გენეალოგია-ტიტულატურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო დასკვნითში – კრულვის შემცვლელი ტექსტის წარმომთქმელის აპელირების მთავარ სუბიექტს.

ღვთაება თარხუნთის უზენაესობას უკვე ძვ. წ. IX ს-ის 90-იანი წლებით დათარიღებული მუსქას ქვეყნის მეფის ხართაფუს წარწერები ადასტურებენ (წარწერები ყიზილდაღზე,

ყარადაღზე და ბურუნქაიაშია აღმოჩენილი). ერთ-ერთ ამ წარწერაში ნათქვამია: „თარხუნთი, მზე, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, დიდი მეფისა და გმირის, მურსილის შვილი“. მეორე, უფრო ლაკონური წარწერა კი გვამცნობს: „თარხუნთი, მზე, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე“ [3, 238].

თარხუნთის მნიშვნელობა სამეფო წარწერების შესავალ ნაწილში არაერთგზისაა აქცენტირებული. ასე, მაგალითად, ყარათეფეზე აღმოჩენილი აზითავათას წარწერებში (ძვ. წ. IX ს-ის ბოლო მეოთხედი) ხაზგასმითაა აღნიშნული თარხუნთის განსაკუთრებული როლი აზითავათას აღზევებაში („მე აზითავადა ვარ, მზით კურთხეული კაცი, თარხუნთის მსახური, (ის) რომელიც ავარიქუმ, დანუნელთა მეფედ დაანინაურა. თარხუნთიმ დანუნელთა დედად და მამად მომავლინა“). დაახლოებით იგივეს იმეორებს ალეპოს მეფეც („მე არპასი ვარ, თარხუნთი საპატიო მსახური“) [4,136-156; 5]. აღნიშნული შინაარსის ფრაზას არაერთ სხვა წარწერაშიც ვხვდებით (ასე, მაგალითად, ქარხემიშის მეფე ქათუვასი დაახლ. ძვ. წ. 880წ.) აღნიშნავს, რომ სამეფო ინსიგნიები, კერძოდ, მამისეული სამეფო კვერთხი, მას უზენაესმა ღვთაებმა თარხუნთმა გადასცა, ზემოთ უკვე მოხსენიებული არპასი აცხადებს, რომ ღვთაებები – თარხუნთი და ხარანელი მთვარის ღვთაება მის წინ მიაბიჯებენ, ისინი მისი თანამგზავრები არიან, ყოველივეს იგი თარხუნთის შემწეობით აკეთებს. თაბალის მეფე ვასუსარუმა ამბობს: „ჩემი უფალი თარხუნთი, აგრეთვე სარუმა, X და Y ... წინ მიმიძღვიან“; ქარხემიშის tarwana-ც, იარირისიც (დაახლ. ძვ. წ. 790 წ.) გვამცნობს, რომ „მისი სახლისა“ და „სამართლიანობის ამბავი“ თარხუნთმა და მზის ღვთაებამ „ცას ამცნეს“ გურგუმის მეფე ხალფარუნციაც სიამაყით წარმოთქვამს: „თარხუნთის ბრძანებითა და მითითებით ვმოქმედებო“) [6, 24, 53, 125, 127-131].

ღვთაება თარხუნთი ჩვენთვის საინტერესო ხანის წარწერების დასკვნით ნაწილებში, კრულვის შემცველ კონტექსტებშიც არაერთგზის მოწმდება, სადაც თავად წარწერის, მისი ავტორის (LUGAL, tarwanas, KUR.NA) მიერ აგებული ტაძრების, სხვადასხვა საკულტო ნაგებობების, სასახლეების, ჭიშკრების, ხიდების, არხების, ქანდაკებების, სხვა არქიტექტურული ძეგლების, აგრეთვე, ბალ-ვენახებისა და ნათესების დამცველის სახით გვევლინება. უკვე მოხსენიებული ქათუვასი ერთ-ერთ წარწერაში აღნიშნავს, რომ ის, ვინც ხელს აღმართავს მის მიერ შედგენილ წარწერაზე ან ის, ვინც განიზრახავს მეფის მიერ აგებული ტაძრის დანგრევას, მკაცრად დაისჯება ქარხემიშის უზენაესი ღვთაების თარხუნთის მიერ. ქათუვასის მუქარა მკაცრია: უზენაესი ღვთაება თარხუნთი დაანგრევს ბოროტმოქმედის სახლს, ამ უკანასკნელს კი ალგვის პირისაგან მიწისა”. დანუნას (კილიკია) მეფე აზითავადაც ბრძანებს: ...და თუ ვინმე მეფეთაგან, ან კაცთაგან... შემდეგს განაცხადებს: „მე ჭიშკრებს ჩემს საკუთრებად ვაცხადებ და ზედ ჩემს სახელს დავანერ”, ან თუ ჭიშკრების თაღებიდან ლოდს ამოიღებს, ან მავნებლობას ჩაიდენს და ბოროტი განზრახვით დაანგრევს ამ ჭიშკრებს, თარხუნთი ცისა და მზე ცისა და ყველა ღვთაება დაამხოვს მას, მეფე იქნება იგი, თუ კაცი. აზითავათის სახელი, მსგავსად მზისა და მთვარის სახელებისა, მარადიულია უკუნითი უკუნისამდე” [7, 3, 5, 6]. შთამბეჭდავია ალექსოს მეფე არპასის წარწერის დასკვნითი ნაწილიც: „...მაგრამ თუ ოდესმე ვინმე მოისურვებს (ამ გამოსახულების) წაღებას, თარხუნთი (და) მთვარის ღვთაება დასწყევლიან მას!”. Cekte-ში აღმოჩენილ სტელაზე, რომელიც ვინმე ქითივანამ თავის მეუფე სოსტურას მიუძღვნა, წარწერის ავტორი აფრთხილებს შთამომავალთ: „...ვინც ამ ქალაქში მტრულად შემოვა, ვინც საზღვრებს წაგვართმევს,

ვინც ამ ქვიდან ... ვინც ამოშლის ამ სიტყვებს, მას ღვთაება ცისა თარხუნთი, ქარხუნა, ქუბაბა, ... მთვარისა და მზის ღვთაებები დასჯიან! ციდან და მიწიდან სიუხვე წაერთმევა, მას ღმერთები მიწიერ სიცოცხლეს წაართმევენ” [4, 139-156].

მოყვანილ წარწერათა მსგავს კონტექსტებს ვხვდებით გვიანხეთური ხანის ანატოლიის სხვა მეფე-მთავართა (თარხუნაზი, ვასუსარუმა, ხალფარუნცია, ლაფარნა, ვარპალავა და სხვათა) სახელით შედგენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებშიც, სადაც საკულტო ნაგებობების, სასახლეების, ჭიშკრების, ხიდების, არხების, ქანდაკებებისა და სხვა არქიტექტურული ძეგლების დამცველად კვლავ უზენაესი ღვთაება გვევლინება.

იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ხშირადაა საუბარი იმაზე, რომ ესა თუ ის მეფე თარხუნთის კეთილგანწყობით თუ სიყვარულით სარგებლობს. ასე, მაგალითად, მუშქების მეფე ხართაფუ თავის ტიტულატურაში საგანგებოდ მიუთითებს, რომ იგი „თარხუნთის საყვარელი კაცი“ („მზე, ქვეყანა 213-ის, სიკეთისათვის? ღვთაება თარხუნთი ცისა (...ზრუნავს?) ... გმირი. დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, თარხუნთის საყვარელი კაცი, დიდი მეფისა და გმირი, მურსილის შვილი, ის, რომელიც მუსქების ქვეყანაშია, ის, რომელიც მხარეში არის... ქვეყანა... რომელმაც ქალაქები განაახლა (?)...“) [8, 110; 1990, 238].

თილ-ბარსიფის ერთ-ერთი მეფე გვაცნობს: „მე ქვეყნის მეფე ვარ... ციურ თარხუნთს, კეთილ ღვთაებებს ქუფარმას, მათილას (?), თეშუბს, ხარანელ მთვარის ღვთაებას, ქუბაბას ვუყვარვარ”.

მეფისადმი უზენაესი ღვთაების (თარხუნთის) კეთილგანწყობა და სიყვარული ჩვეულებრივ სამართლიანობისამდმი მეფის ერთგულებითაა მოტივირებული. ქარხემიშის მეფე-

თა წარწერებში არაერთგზის მოწმდება ფრაზები: „მე, ჩემმა მეუფემ თარხუნთმა, ქარხუნამ, ქუბაბამ ჩემი სამართლიანობის გამო შემეყვარეს” ან „მე ვარ კაცი ღვთაებათა მიერ შეყვარებული. ჩემი სამართლიანობის (ამბავი) თარხუნთმა და მზის ღვთაებამ ცას მაცნეს” [9, 37-38].

გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ერთ საგულისხმო ტენდენციას ვადასტურებთ. ჩვენთვის საინტერესო ეპიგრაფიკული ძეგლების მოწმობით, თარხუნთს არა მარტო უყვარს მეფე, წარმართავს მის მოღვაწეობას, იცავს მტერთაგან, არამედ ზრუნავს კიდევ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მეფის სახელის განდიდებაზე.

კიდევ ერთი მომენტი იმსახურებს ყურადღებას. თილ-ბარსიფის მეფის წარწერიდან ირკვევა, რომ „მამისეული სამეფო ტახტი” წარწერის ავტორს ბრძოლით მოუპოვებია. დიდი განსაცდელის ჟამს მას შემწეობა მაინცდამაინც უზენაესი ღვთაებისათვის უთხოვია. წარმატებისათვის თარხუნთის ყოვლისშემძლეობით მიუღწევია. თილ-ბარსიფის მეფე მოგვითხრობს: „მამინ (აღვაპყრე) ხელები ციური თარხუნთის წინაშე და მივმართე მას შემდეგი სიტყვებით: მე თვით ვაქცევ ჰიეროდულად ჩემი მტრის ქალიშვილს”. ციურმა თარხუნთმა ისმინა ჩემი თხოვნა – დავიმორჩილე მტერი, გავანადგურე მისი ვაჟები... მისი ქალიშვილი ჰიეროდულად ვაქციე” [4, 155].

გვიანხეთურ ხანაში ღვთაება თარხუნთის პოპულარობაზე სხვა მონაცემებიც მეტყველებენ: მიძღვნილი ხასიათის რამდენიმე წარწერაში მაინცდამაინც ღვთაება თარხუნთი ფიგურირებს. წარწერები ასე იკითხება: „ეს თასი (?) მითიამ ღვთაება თარხუნთისათვის გააკეთა” ან „ეს თასი (?) რუვანთიამ ალეპოს თარხუნთს უძღვნა” [6, 10].

იეროგლიფურ-ლუვიურ რამდენიმე წარწერაში საუბარ-

ია თარხუნთის artali-სა და ტაძრის აგებაზე, აგრეთვე, მისთვის ხარისა და ცხვრის შეწირვაზე. ასე, მაგალითად, კულულში აღმოჩენილი ერთ-ერთი წარწერის (Kululu I) ცნობით, თაბალის მეფე თუვათის ვასალმა (მსახურმა), ვინმე რუვამ, რომელსაც დანგრეული სახლების ადგილზე სასახლე აუგია, ღვთაება თარხუნთის თაყვანისცემის ნიშნად, მის სახელზე artali აღუმართავს და წლიდან წლამდე ხარი და ცხვარი შეუწირავს”. ქარხემიშის tarwanas-ი ქათუვასი გვამცნობს, რომ მან, ვითარცა „ღრმადმორწმუნემ”, თარხუნს „სიყვარულით აღუშენა ტაძარი”. იქვე იგი დასძენს: „ის, ვინც მომავალში ამ ტაძარს დააქცევს, იქნება ეს მეფე, KUR.EN (მბრძანებელი) ან ვინმე „მაღალჩინოსანი”, მამისეული სახლის და ქარხემიშის ღვთაება თარხუნთი აღგვიან მას პირისაგან მიწისა”. იეროგლიფურ-ლუვიურ სხვა წარწერაშიც იგივე ქათუვასი კვლავ ადასტურებს თარხუნთის სახელობის ტაძრის აგების ფაქტს და თან იმასაც დასძენს, რომ მას ღვთაებისათვის მსხვერპლშეწირვაც დაუწესებია. ინტერპრეტაციისათვის საკმაოდ რთული წარწერა სულთანხანიდან გვამცნობს, რომ ვასუსარმას (ასურული წერილობითი წყაროების უასურმე თაბალელის) ქვეშევრდომს ღვთაება თარხუნთის შემწეობით ვენახი გაუშენებია. თარხუნთის წყალობით ვენახს გაუხარია. მადლობის ნიშნად, ვასუსარმას მსახურს თარხუნთისათვის ყოველწლიურად ხარისა და 3-დან 9-მდე ცხვრის შეწირვა აღუთქვამს. ამ წარწერაში ღვთაებას ორგზის „თარხუნთი ვენახისა” ეწოდება. წარწერის ავტორი იმედოვნებს, რომ თარხუნთის ვენახი სამეფო გადასახადისაგან გათავისუფლებული იქნება და ამავე დროს, მას სათუთად და სიყვარულით მოექცევიან [6, 50-51, 53-55, 57-62, 116-122].

თარხუნთის სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებენ. როგორც აღინიშნა, მას უწოდებენ „ღვთაება თარხუნთს ცისა”

და „ცის ღვთაება თარხუნთს“. ზემოთ მოტანილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში იგი სხვა ზედწოდებებთანაც ფიგურირებს, კერძოდ, „ქარხემიშის ღვთაება თარხუნთი“, „ალეპოს ღვთაება თარხუნთი“, „ვენახის ღვთაება თარხუნთი“, „მეუფე“ (ბატონი), „მამისეული სახლის ღვთაება თარხუნთი“.

თარხუნთი არაერთი საკუთარი თეოფორული სახელის კომპონენტად გვევლინება. გვიანხეთური მცირე აზიის სამეფო-სამთავროებში ფართოდ იყო გავრცელებული მამაკაცის სახელები: „თარხულარა“ (გურგუმი), „თარხუნაზი (თაბალი, მეღიდუ-ქამანუ), „თარხუნთინა“ (თაბალი). მცირე აზიის ონომასტიკონში დადასტურებულია აგრეთვე: Tarhuntaziti, TRH-huwasuwa, TRH-hupias, Tarhunabe და სხვა. Tarhu-ძირიან სახელებს ელინისტური ხანის ლიკიასა და კილიკიაშიც ვხვდებით. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს საკუთარი სახელი Τροκο ζαρμαζ (Τροκο იდენტურია Tarhui-სა, ხოლო ζαρμαζ Sarmas-ი) [10, 122].

თარხუნთან დაკავშირებულყველა ზემომოყვანილ მონაცემებს მნიშვნელოვნად ავსებს და ადასტურებს თარხუნთის გამოსახულების შემცველი ბარელიეფებისა და რელიეფების ნიმუშები, რაც კარგად ჩანს შემდეგიდან: ივრიზი, მალატია, ნილდე, ქეჩლიქი, თარხუნთის სავარაუდო გამოსახულება კილიკიის ტავროსიდან, რომელიც ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ნიშანდობლივია, რომ ზემოდასახელებული კლდის რელიეფები სწორედ ნყაროთა სიახლოვეს დასტურდება, რაც ღვთაების ზემოხსენებულ ფუნქციებთან უნდა იყოს დაკავშირებული [11, 5-12].

ღვთაება თარხუნთის ატრიბუტიკის სრულად წარმოჩენისათვის ივრიზის რელიეფს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სამწახაროდ, ბუნებრივი მოვლენების გამო, ივრიზის

რელიეფი საკმაოდ სერიოზულადაა დაზიანებული. მიუხედავად ამისა, მასზე კარგად ჩანს პროფილში გამოკვეთილი თარხუნთის სახე და ხელ-ფეხი. სხეული ფრონტალურადაა წარმოდგენილი. ფიგურა მარჯვნიდან მარცხნისკენაა ორიენტირებული. თავზე მას წვეტიანი ქუდი ახურავს, თმა კისრამდე აქვს ჩამოშლილი, ხოლო წვერი მკერდამდე წვდება. ფეხები გაშლილი აქვს და ზედ ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია. ღვთაება მუხლამდე კაბით არის შემოსილი, ნელზე სარტყელი აკრავს. მას მარცხენა ხელში თავთავების შეკრული ძნა უჭირავს, რომელიც ერ-თმანეთის პარალელურად ქვემოთ, მარცხენა ფეხის ტერფამდე სწორადაა დაშვებული. მარჯვენა მხარეს კი ყურძნის მტევნებიანი ლერწამი მხარზეა ჩამოკიდებული, რაც მოსავლის აღებას უნდა ნიშნავდეს. ღვთაება თარხუნთს მარცხენა იდაყვთან სპირალის ფორმის ღარებიანი საგანი უკან, სარტყელში აქვს ჩას-მული, რომლის ვადა ჩიტის (არწივის) თავს წააგავს [12, 166].

მკვლევართა ერთი ნაწილი (რ. ბარნეტი, მ. კრემერი) ამ ელემენტს ხმლის ვადასთან აიგივებდა [13, 179-187]. შემდგომში მ. ჩაპინმა ზემოხსენებული იარაღის დეტალის ახლებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. მისი მართებული დაკვირვებით, ეს მჭრელი იარაღი ნამგალი უნდა იყოს, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებისათვის სავსებით ბუნებრივი ატრიბუტია, მითუმეტეს, რომ სხვა წინააზიურ ღვთაებათა რელიეფურ გამოსახულებებზე ნამგალი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო არაერთგზის მოწმდება (იშთარის ტაძარი, იაზილიქიას კლდეზე ნაკვეთი ღვთაებები, ბაბილონი და სხვ.).

აქვე შემდეგსაც დავძენთ: მართალია, წინააზიურ ღვთაებათა, მეფეთა და მეომართა გამოსახულებებისათვის ხმალი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო უცხო არ არის, ჩვენთვის

საინტერესო შემთხვევაში საქმე სხვა ვითარებასთან უნდა გვეკონდეს. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ ხმლის ვადასთან იდენტიფიცირებული ჩიტის ნისკარტის ფორმის დეტალი მჭრელი მხარითაა ამოტრიალებული, რაც სავსებით გამორიცხავს ხმლის სახით მის პრაქტიკულ გამოყენებას [12, 168].

იმაზე, რომ ნაყოფიერების ღვთაება თარხუნთის ერთ-ერთი ატრიბუტი სწო-რედ ნამგალი უნდა ყოფილიყო და არა ხმალი, ჩვენი აზრით, ამინდის ღვთაები-სადმი მიძღვნილი ნამგლის დღესასწაულის ამსახველი ხეთური ლურსმული ტექსტებიც უნდა მიუთითებდეს[]. საყურადღებო ისიცაა, რომ ეგვიპტის აკლდა-მებში მოსავლის აღებისა და მკის ამსახველ რიტუალურ სცენებზე სხვადასხვა ფორმის ნამგლის გამოსახულებას არაერთგზის ვხვდებით [14, 46].

ივრიზის ანალოგიური გამოსახულებები ერედლისა და ქერლიქის სტელებზეც დასტურდება [12, 176].

ღვთაება თარხუნთის ერთ-ერთი გამოსახულება სტელაზე ნილდეს მუზეუმშია დაცული. აქ ღვთაებას მარცხენა ხელში უცნობი სიმბოლო უკავია, მარჯვენა ხელი, სამწუხაროდ, დაზიანებულია. სხვა მხრივ, ფიგურა ივრიზის, ერედლისა და ქერლიქის სტელებზე გამოსახული ღვთაების მსგავსია. აქაც, მარცხენა მხარეს, ცოტა დაშორებით, თავთავების შეკრული ძნა, ხოლო მარჯვნივ ყურძნის მტევნები ფოთლებითურთ მოჩანს. ფიგურა მარცხნისკენ არის მიმართული [12, 174].

მკვლევართა (მ. ჩაჰინი) ვარაუდით, მალატიის რელიეფზე გამოსახული ამინდის ღვთაება თარხუნთის მსგავსია. ეს რელიეფური ნიმუში ამინდის ღვთაების წინამე მეფის ლობაცას (ღვთაებისადმი ღვინის ძღვნად მიერთმევა) წარმოადგენს. ღვთაებას თავზე რქიანი ფორმის გვირგვინი აქვს დადგმული, კაბა მუხლამდე წვდება და წელზე სარტყელი

აქვს შემოჭერილი, ფეხზე კი ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია. აღნიშნულ რელიეფზე ღვთაებას სარტყელში ხმალი უკეთია, მარცხენა ხელით ელვის კონა უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი მაღლა აქვს აღმართული და Γ ფორმის საგანი უკავია. ზოგი მკვლევრის (ბ. ორტმანი, ი. აკურგალი, მ. კრემერი) ვარაუდით, იგი ბუმერანგი ან მოღუნული ტოტი უნდა ყოფილიყო [12, 172].

ფლინდერს პეტრის თვალსაზრისით, ეს პრიმიტიული სატყორცნი ჯოხია, რომელიც ეგვიპტეში ჯერ კიდევ I დინასტიის პერიოდის დათარიღებულ იეროგლიფებს შორის დასტურდება, უფრო მეტიც, ეს გამოსახულება XII დინასტიამდე განაგრძობს არსებობას. სირიული ნიმუშები ეგვიპტურისაგან ოდნავ განსხვავდება. მას რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდა და როგორც ჩანს, სი-რიაში ეგვიპტიდან შეაღწია [14, 36].

თარხუნთის სკულპტურული გამოსახულება კილიკიის ტავროსიდან ასე წარმოგვიდგება: ღვთაებას მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდებული. როგორც ჩანს, მას თავზე ქუდი ეხურა. მარცხენა ხელში შეკრული თავთავების ძნა უჭირავს, რომლის ქვეშ სამსხვერპლო ტაბლა დგას [15, XXIV]. ტაბლაზე შესაწირი 2 თხელი პური და ზემოდან მასზე პატარა ზომის 2 მრგვალი პური დევს.

ანალოგიური მონაცემები ხეთურ ტექსტებშიც დასტურდება. ირკვევა, რომ სამსხვერპლო მაგიდაზე, რომელიც ღვთაება ეას ეძღვნებოდა, რიტუალურ საკვებთან და დიდ პურებთან ერთად, რამდენიმე მცირე ზომის ე. წ. *tappinu*-პურებიც ელაგა.

მალატია X-ის, ადიამან I-ისა და ადიამან II-ის თეთრ კირქვიან სტელეებზე ღვთაება თარხუნთი ხარზე შემდგარია გამოსახული. წარწერებში იგი ჭექა-ქუხილის ღვთაებას გა-

ნასახიერებს. მალატია X მსხვერპლშენიერვის სცენას გამოხატავს. აქ ღვთაება მარცხნივ დგას, მის უკან ხარია, ხოლო წინ – მეფე სულუ-მალია ხელში ტიარით წარმოდგენილი [1, №114, 122, 123].

სავარაუდოა, რომ ღვთაება მონანილეობს პირველი მოსავლის აღებაში. სიმბოლურად ჭრის თავთავიან ძნას, ან შესაძლოა, ამ დავალებას მეფეს გადასცემს. აქედან გამომდინარე, მალატიის რელიეფებზე ღვთაება თარხუნთი ჭექა-ქუხილის, მინათმოქმედებისა და ნაყოფიერების ფუნქციების მატარებლად იწოდება.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი მონაცემები, რომლებიც პირველად ავტორთა მიერ თავმოყრილი, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანჯდის გვიანხეთურ სამყაროში (ძვ. წ. IX-VIII ს.) გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ირკვევა, რომ უზენაესი ღვთაების როლს თარხუნთი თამაშობდა. იგი ორგანულად იყო დაკავშირებული ოფიციალურ იდეოლოგიასთან, კერძოდ, მეფისა და სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულ კონცეფციასთან. ისიც ჩანს, რომ უზენაესი ღვთაება ცასთან იყო ასოცირებული („ღვთაება თარხუნთის ცისა“, „ცის ღვთაება თარხუნთი“). ამასთანავე, მას მძლევლის, დამცველისა და ნაყოფიერების მიმნიჭებლის („ღვთაება თარხუნთი ვენახისა“) ფუნქციებიც ეკუთვნოდა.

ძველი ანატოლიის სხვადასხვა ძეგლებზე დამოწმებული თარხუნთის გამოსახულება სავსებით ადასტურებს მოყვანილ წერილობით წყაროებში ამ ღვთაების შესახებ არსებულ ინფორმაციას. ამ თავლსაზრისით, საინტერესო ისაა, რომ თარხუნთის ძირითად ატრიბუტებად ყურძნის მტევანი და პურის თავთავების კონაა წარმოდგენილი. დაბეჯითებით იგივე უნდა ითქვას თარხუნთის სახელწოდების აღმნიშვნელ

ლუვიურ იეროგლიფებზე, რომლებიც ხაზს უსვამენ მიწისა და წყლისათვის ნაყოფიერების მიმნიჭებლის, ძლიერების და ძლევამოსილების - ამ ღვთაების ძირითად ფუნქციებს.

დამონმებული პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა



1. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi 2a E 3a Serie, Roma, 1975
2. Фридрих И., История письма, Москва, 1979.
3. ხაზარაძე ნ., გვიანხეთური სამეფოები, წიგნ: „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ქრესტომათია“, თბილისი, 1990.
4. Hawkins J. D., Autobiography of Ariahinas`s Son. AnSt, XXX, 1980.
5. Hawkins J. D. and Morpurgo Davies, On the Problems of Karatepe: The Hieroglyphic Luwian Text, AnSt, 1978, v. XXVIII.
6. Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967.
7. ხაზარაძე ნ., ნერილობითი წყაროების კრუღვის შემცველი კონტექსტების ინტერპრეტაციისათვის, კლიო 6, თბილისი, 1999.
8. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბილისი, 1984.
9. ხაზარაძე ნ., მეფე და ღვთაება, „ძეგლის მეგობარი“, თბილისი, 1994.
10. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962.
11. ბახსოლიანი ნ., ღვთაება თარხუნთის იკონოგრაფიისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები IX, თბილისი, 2005, (იქვე იხ. მითითება სპეციალურ ლიტერატურაზე).
12. Şahin M., Neue Beobachtungen zum Felsrelief von Ivriz/Konya, AnSt, 49, 1999.
13. Barnett R. D., Beiträge zur Atertumstunde Kleinasiens; Cremer M., Der bewaffete Dionysos, Ist Mitt. 38, 1988.
14. Flinders Petrie, Tools and Weapons , London, 1917.
15. გიორაძე გრ., ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, 1988.


LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING SUPREME DEITY TARḪUNT

The present work based on analysis and intermerging of Hieroglyphic Luwian records (IX-VIII BC) shows that Tarhunzas (DEUS TONITRUS) played the role of the Supreme Deity in the pantheon of the late Hittite period. Organically it was related to the royal-power official ideology of the late Hittite period, namely, to the widespread conception of divine representatives of royal power in Ancient East. It became known that Tarhunzas was identified with Heavens ("`diety of Heavens Tarhunzas", "`Heavenly diety Tarhunzas"). Besides, he is also attributed the function of a hero, victor, defender of king, his country and cities, fertility-bringer. The evidence of the hieroglyphic Luwian inscriptions related to deity Tarhunt, as is represented in the paper, is substantiated completely by the reliefs and bas-reliefs showing this deity, discovered in the Ancient Near East, where the functions of this deity is stressed clearly. In the authors' viewpoint, it is especially significant that the same is also indicated by the Luwian hieroglyphs denoting the name of Tarḫunt, which represent none other than testicles, (Hittite(anat.) arki-, (Akkadian ŠIR); ^(KUŠ)laplai-?; tašku-(c) (?), Latin testis) and Luwian hieroglyph denoting male strength and power.


ქალის გამოსახულებიანი ლუვიური იეროგლიფები

ისევე როგორც ლუვიური იეროგლიფების ცალკეული ნიშნები, ასევე ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტები გენდერის პრობლემასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის.

ქალის გამოსახულების ამსახველი იეროგლიფები რამდენიმე თვალსაზრისითაა საინტერესო. ისინი, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ძველანატოლიელი ქალის ანთროპოლოგიური იერ-სახე   [2, 92]. მოყვანილი იეროგლიფური ნიშნები (ე. ლარო-შისეული კლასიფიკაციით №15, 16, 79,[3, 9] პ. მერიჯისეული კლასიფიკაციით №13, 14, 288c [4, 181]) საკმაოდ ადეკვატურად ასახავს ძველ ანატოლიელთა (ძვ. წ. II-I ათასწლეულები) იერ-სახეს. ეს მითუმეტეს ასეა, თუ გავითვალისწინებთ ხეთური და გვიანხეთური ხანის კულტურის ძეგლებზე დამონმეზულ ქალთა სახეებს, რომლებიც, უმთავრესად, პროფილშია წარმორჩენილი, ხასიათდებიან ნუშისებრი ფორმის თვალით, მკვეთრად გამოხატული ცხვირით, მცირე ზომის ტუჩებით, მოკლე ნიკაპითა და მაღალი ყელით. მოყვანილი იეროგლიფები, აგრეთვე, საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ძველანატოლიელი ქალის ვარცხნილობა და თავსაბურავის ფორმა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ დამწერლობის შემქმნელნი ქალებს საზოგადოებაში მისი ფუნქციის მიხედვით განასხვავებდნენ. ერთ შემთხვევაში ხაზგასმულია ქალის ფიზიოლოგიური ფუნქცია – დედობა, ხოლო მეორეში – სოციალური, თანაც გაბატონებული „ქალი“-„დედა“ 

* მოყვანილი პირველი და მეორე ლუვიური იეროგლიფის ფონეტიკური წაკითხვა უცნობია, რაც შეეხება მესამეს, როგორც წესი, -it და nati-ფონეტიკური კომპლემენტები ახლავს.

(სამო ხეთური ḥaššatar/hanšatar (შდრ. გამრავლება, დაბადება; შთამომავლობა, შობა); ^{UZU}šarḥuwant (შდრ. ჩანასახი); SILĪTU (შდრ. მომყოლი). სულხან-საბა ორბელიანის ტერმინოლოგიით საშვილოს [5, 64], სქემატური ნახატივით აღინიშნება „ქალბატონი“ – ქალის გამოსახულებით, „დედოფალი“ - „ქალბატონისა“ და „დიდის“ ცნებების ამსახველი ნიშნების ლიგატურით. აქვე დავძენთ, რომ ეს უკანასკნელი იეროგლიფური ნიშანი №363, როგორც წესი, მეფის აღმნიშვნელ შუმ-ეროგრამასთან ერთად გვხვდება .

აღბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო დამწერლობაში მამაკაცების გამოსახულებიანი იეროგლიფური ნიშნებიც დასტურდება: (№1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 12, 19, 20, 21, 22) [2, 92-93], მაგრამ, როგორც წესი, ისინი, ძირითადად, არსებით სახელებს, ზმნებს, ნაცვალსახელებს და გრამატიკის სხვა ნაწილებს (ადამიანი, თავი, ქანდაკება, გმირი, კითხვა, ჭამა, დაღევა, ლაპარაკი, მე) ასახიერებენ.

გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტების ანალიზი და ხეთური ხანის წერილობითი ძეგლების კონტექსტებთან მათი შედარება ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს, რომ ქალის სტატუსი ძვ. წ. X-VIII საუკუნეებში არსებითადაა შეცვლილი. თუ ხეთურ საზოგადოებაში, როგორც ამაზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს (ქალი, დედოფალი, ქალბატონი, ქურუმი ქალი) საკამოდ მაღალი სოციალური სტატუსით სარგებლობდა, გვიანხეთურ ხანაში ამგვარ სიტუაციას ვერ ვადასტურებთ. როგორც წესი, ჩვენს ხელთ არსებული გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებული ყველა ტექსტი, მცირე გამონაკლისის გარდა, მამაკაცის – მეფის ან სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფი პირის სახელითაა შედგენილი. იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების გავრცელების არეალში (ძველი

ანატოლიის გარდა, ჰინესი, ჰამათი, სიპილოსი, ყარაბელი, კვიპროსი, ირანი) აღმოჩენილი ძვ. წ. X-VIII საუკუნეებით დათარიღებული წერილობითი ძეგლები შემდეგი სტერეოტიპული ფრაზებით იწყება:

„მე ვარ იარირისი, დინასტიის მქონე, ჩემი მზე, კაცი... ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მეტისმეტად სახელგანთქმული, ღვთაების საყვარელი...“, „მე ვარ პანუნა, კაცი მზისგან განათებული...“, „მე ვარ თარხუნაზი, მმართველი, თარხუვარას შვილი, მეფე ვარპალავას ვასალი... მმართველი“, „მე ვარ კურთია,... ასქუას შვილი, დიდად პატივცემული დასავლეთსა და აღმოსავლეთში“, „მე ვარ კითივარა სოსტურას საყვარელი ვასალი...“, „მე ვარ [x და y] შვილი... ვასურმეს ვასალი...“, „მე ვარ დიდი მეფე ვასურმე..., შვილი დიდი მეფე თუვანთისა“. „მე ვარ ხალპარუნთია, მსაჯული, გურგუმის მეფე, შვილი მსაჯულისა მუვათალის“ [6, 25, 45, 100, 106, 108, 116, 124, 127] „მე (ვარ) P,Ati-ს შვილი, შვილიშვილი ნუნასი...“, „მე ვარ ვარპალავა თუვანას მეფე, სამართლიანი, ღვთისმოსავი, შვილი...“, „მე ვარ შარუვანა, სამართლიანი, Nahitia-ს ბატონი“, „მე ვარ ჰაპიპა...“, „მე ვარ თარხუვარა, საყვარელი შვილი თარხუირმასი“, „(ურ)თარხუ, მეფის ძმისწული... სულუმალის შვილი, მმართველი მალატიის“, „მე ვარ უილიპისა, ბატონი...“, „მე ვარ თარა, მალატიის მმართველი“ [7,9, 11, 12, 24, 28, 36, 37, 38]

ხეთური ხანიდან განსხვავებით, ქალის გამოსახულება მრავლად არც გვიანხეთური ხანის კულტურის ძეგლებზე გვხვდება. აქაც, როგორც წესი, ანალების და სხვა ტიპის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები მათი ავტორების – სამეფო-სამთავროთა მმართველების გამოსახულებებითაა დამშვენებული (ხართაფუ, აზითავათა, ვარპალავა, იარირისი, ქამანასი...).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ ცნობილ 300-ზე მეტ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში, რომელთა უდიდესი ნაწილი გვიანხეტური ხანით თარიღდება, გამონაკლისის სახით მაინცაა დამონმებული სამიოდე შემთხვევა, როდესაც წარწერის მთავარი მოქმედი პირი დედოფალი, ქალი, ქალბატონი და ცოლია. ასე მაგალითად, მალატიაში აღმოჩენილ ერთ-ერთ სტელაზე ვკითხულობთ ტერმინს დედოფალი – SALLUGAL, რომელსაც ერთ ხელში თასი, ხოლო მეორეში ქალღმერთ ქუბაბასათვის შესანიერი ძღვენი უპყრია (Malatya VI) [7, 55]. არანაკლებ საყურადღებოა, ბოიბეიპინარში აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწიეს. იგი კუმუხის ქვეყნის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის მმართველის – ხათუსილის დედას ეკუთვნის. წარწერა ძველადმოსავლური მეფეების წარწერებისათვის დამახასიათებელი კრულვის ფორმულით მთავრდება. ხათუსილის დედა „ბრძანებს“: „ვინც ამ ტახტრევანს და წარწერას სიძულვილით დაამსხვრევს, ვინც ჩემს მიერ ამოკვეთილ ჩემი ბატონის – თუხამის, პანამუვათის და შვილის – ხათუსილის სახელებს წაშლის, ის ცისა და მიწის ბოროტების მფლობელი გახდება” (Boybepinari I, II) [7, 75-83].

ყურადღებას ერთ-ერთი გვიანხეტური ხანის სამთავროს – გურგუმის (დღევ. მარაში) მმართველის მეუღლის სტელაზე ამოკვეთილი წარწერაც იმსახურებს. იგი ქალღვთაება ქუბაბასადმი შესანიშნავი მირთმევის სცენას ასახავს. მიძღვნილი წარწერა ასე იკითხება: „მე ვარ თარხუნთივასტი, აიმის ცოლი...” [7, 84].

ჩატარებული კვლევა-ძიება, რომელიც, ფაქტობრივად, პირველად ხორციელდება, ერთმნიშვნელოვნად გვიჩვენებს დროში ქალის საზოგადოებრივი სტატუსის ცვალებად-

დობას, კერძოდ, გვიანხეთურ ხანაში არსებულ გენდერულ დისბალანს - ხეთური ხანისაგან განსხვავებით, გვიანხეთური ხანის საზოგადოებაში ქალთან შედარებით მამაკაცის როლის მნიშვნელობის გაზრდას. ჩვენი ვარაუდით, ქალის სტატუსის დაქვეითებას ძვ. წ. X-VIII სს. ობიექტური საფუძველი გააჩნდა. საქმე ისაა, რომ ხეთების იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი წვრილი სამეფო-სამთავროები (მუშქების ქვეყანა, თაბალი, ხილაქუ, ქუე, მელიდუ-ქამანუ, ქარხემიში, გურგუმი, კუმუხი) პირისპირ აღმოჩნდნენ ისეთი დიდი და ძლიერი იმპერიის წინაშე, როგორც ასურეთი იყო. სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ამ სამეფოების მესვეურებს თავდაცვა პერმანენტულად უწევდათ და ამ მიზეზით, ბუნებრივია, ქალის სტატუსი უკანა პლანზე უნდა აღმოჩენილიყო. ამ თვალსაზრისით, ისიც არაა შემთხვევითი, რომ გენდერული დისბალანსი გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა პანთეონშიც აისახა. ხეთური ხანისაგან განსხვავებით, პანთეონში უზენაესი ღვთაების სტატუსი მზის ღვთაების ნაცვლად ამინდის, ნაყოფიერების და ომის ღვთაება თარხუნთასმა დაიკავა. უფრო მეტიც, მამრი ღვთაების თარხუნთასის უპირატესობა ძვ. წ. X-VIII სს-ის მეფე-მთავართა ტიტულატურაშიც აისახა. სამეფო ხელისუფლების გენეზისის იდეაც მდებრი მზის ღვთაების ნაცვლად თარხუნთასს დაუკავშირდა.



დამონმებული პირველწყაროები და ლიტერატურა


1. ნ. ხაზარაძე, ლუვიური იეროგლიფების სამყაროში თბილისი, 2006.
2. Дунаевская И. М. Язык Хеттских Иероглифов, Москва, 1969.
3. Laroche E., Les hieroglyphs hittites, I, Paris, 1960.
4. Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962.

5. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი, 1993.
6. Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967.
7. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi _ 2aE3a SERIE, Roma, 1975.
8. ხაზარაძე ნ., ბახსოლიანი ნ., ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბილისი, 2012.


LUVIAN HIEROGLYPHS WITH THE REPRESENTATION OF WOMEN

Individual signs of Luwian hieroglyphs as well as texts written in this script offer quite interesting information related to the problem of gender.

Hieroglyphs with the representations of women are interesting in a number of respects. Above all, they allow us to reconstruct the anthropological appearance of Ancient Anatolian women  * [2, 92]. These hieroglyphic signs (according to the classification by Laroche № 15, 16, 79, [3, 9], according to the classification by P. Meriggi, № 13, 14, 288c [4, 181]) reflect quite accurately the appearance of the Ancient Anatolians (2nd-1st millennium BC). It is especially so if we take into consideration images of women, recorded on Hittite and Late Hittite cultural monuments, which are mostly shown in profile, with an almond-shaped eye, a pronounced nose, small lips, a short chin and a long neck. The hieroglyphs also enable us to reconstruct Ancient Anatolian women's hairstyle and shape of headdress.

It is especially important that the creators of the script differentiated women according to their function in the society. In one case, woman's physiological function - motherhood - is stressed, in the other - the social, prevailing function "woman" - "mother" (Hittite *ḫaššatar/ḫanšatar*, ^{UZU}*šarḫuwant*; SILĪTU. , in the terminology of Sulkhan-Saba Orbeliani, *sashvilo* [5, 64] is denoted by a schematic drawing, "lady" is rendered by a representation of a woman, "queen" - by the ligature of signs denoting concepts "lady" and "great". It

* Reading of the first and the second Luwian hieroglyphs is unknown, as regards the third, it is usually accompanied by phonetic complements -it and nati-.

should be added here that the latter hieroglyphic sign № 363, as a rule, occurs together with the Sumerogram denoting “king” . It should be noted that in the script of our present interest hieroglyphic signs with representations of men are also attested: (№1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 12, 19, 20, 21, 22) [2, 92-93], but, they usually denote nouns, verbs, pronouns and other parts of speech (human being, head, sculpture, hero, to read, to eat, to drink, to talk, I).

The analysis of Late Hittite hieroglyphic Luwian texts and their comparison with the contexts of the Hittite period written monuments demonstrate that women’s status in the 10th-8th cc. BC was essentially changed. If in the Hittite society, as is indicated by a number of researchers, woman (queen, lady, female priest) enjoyed a quite high social status, similar situation was not attested in the Late Hittite period. As a rule, all the texts of the Late Hittite period, executed in hieroglyphic Luwian script, with a few exceptions, are written on behalf of men - king or person being on a high level of social hierarchy. Written monuments discovered in the area of distribution of hieroglyphic Luwian inscriptions (along with Ancient Anatolia, Hines, Hamat, Sipilos, Karabel, Cyprus, Iran), dated to the 10th-8th cc. BC, begin with the following stereotyped phrases: “I am Iariris, having a dynasty, my sun, man ... from the North and from the East extremely famous, favourite of the deity...”, “I am Panuna, man illuminated by the sun...”, “I am Tarkhunaz, Ruler, son of Tarkhuvara, vassal of King Varpalava... Ruler”, “I am Kurtia, ... son of Askua, highly respected in the West and the East”, “I am Kitivara, favourite vassal of Sostura...”, “I am son of [xand y] ... vassal of Vasurme...”, “I am Great King Vasurme..., son of Great King Tuvant”, “I am Khalparuntia, Judge, King of Gurgum, son of Judge Muvatalis” [6, 25, 45, 100, 106, 108, 116, 124, 127] “I (am) P, Ati-s’ son, grandson of Nuna, “I am Varpalava, King of Tuvana,

just, pious, son...”, “I am Sharuvana, just, Lord of Nahitia”, “I am Hapipa...”, “I am Tarkhuvara, favourite son of Tarkhuirma”, “(Ur) tarkhu, king’s nephew ... Sulumal’s son, Ruler of Malatya”, “I am Uilipisa, Lord...”, “I am Tara, Ruler of Malatya” [7,9, 11, 12, 24, 28, 36 , 37, 38].

Unlike the Hittite period, representations of women do not occur abundantly on Late Hittite cultural monuments. Here, too, as a rule, annals and other types of hieroglyphic Luwian inscriptions are decorated with representations of their authors _ rulers of kingdoms and principalities (Khartapu, Azitavata, Varpalava, Iariris, Kamanas...).

However, it should be noted that in the more than 300 hieroglyphic Luwian inscriptions, known at present, the great majority of which dates back to the Late Hittite period, by way of exception, three cases are attested in which main characters of the inscriptions are the queen, woman, lady and wife. For example, on a stele from Malatya we find the term “queen” - SALLUGAL, who is holding in one hand a bowl, and in the other _ the offering for goddess Kubaba (Malatya VI) [7,55]. Equally interesting is the hieroglyphic Luwian inscription, found in Boybeypinari, unfortunately, having come down to us fragmentarily. It belongs to the mother of the ruler of one of administrative units of the Kumukh country – Khatusili. The inscription ends with the curse formula, characteristic of inscriptions of kings of the Ancient East. Khatusili’s mother “orders”: “Who destroys this throne and the inscription with hatred, who erases the names of my Lord - Tukham, Panamuvat and son _ Khatusili, carved by me, will become owner of evil of heaven and earth” (Boybeypinari I, II) [7, 75-83].

Attention also attaches to the inscription carved on the stele of the wife of the ruler of one of the principalities of the Late

Hittite period Gurgum (pres. Maraš). It depicts a scene of offering sacrifice to goddess Kubaba. The dedication inscription reads: “I am Tarkhuntivast, wife of Aimi...” [7, 84].

The research, which is, in fact, carried out for the first time, clearly shows the variation of women’s social status in time, in particular, gender imbalance in the Late Hittite period -rise of the men’s role as compared with women in the society of the Late Hittite period, unlike the Hittite period. We assume that decrease of the women’s status in the 10th-8th cc. BC, had its objective reasons. The fact is that minor kingdoms and principalities, originated after the destruction of the Hittite Empire (country of the Mushki, Tabal, Khilaku, Kue, Melidu-Kamanu, Carchemish, Gurgum, Kumukh) found themselves face-to-face with such a great and powerful empire as Assyria. In order to maintain their political independence, rulers of the principalities permanently had to defend themselves, due to this reason, naturally, the women’s status moved to the background. In this respect, it is not accidental either that the gender imbalance was reflected in the pantheon of Late Hittite kingdoms and principalities. Unlike the Hittite period, the status of the supreme deity in the pantheon in place of the sun deity was occupied by the deity of weather, fertility and war -Tarkhuntas. Moreover, the superiority of the male deity Tarkhuntas was reflected in the titles of the kings and rulers of the 10th-8th cc. BC. The idea of the genesis of royal power also became related to god Tarkhuntas, instead of the sun goddess.

Primary Sources and References

1. N. Khazaradze, In the World of Luwian Hieroglyphs, 2006 (in Georgian)
2. Dunayevskaia, I.M., Language of Hittite Hieroglyphs. Moscow, 1969 (in Russian)

3. Laroche E., Les hiéroglypheshittites, I, Paris, 1960.
4. Meriggi P., Hieroglyphisch-HethitischesGlossar, Wiesbaden, 1962.
5. Sulxhan-Saba Orbeliani, Georgian Dictionary, II, Tbilisi, 1993.
6. Meriggi P. Manuale Di EteoGeroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967.
7. Meriggi P., Manuale Di EteoGeroglifico, Parte II: Testi _ 2aE3a SERIE, Roma, 1975.
8. Khazaradze N., Bakhsoliani N., Source Study Researches of History and Culture of Ancient Near East, თბილისი, 2012 (in Georgian)

ЛУВИЙСКИЕ ИЕРОГЛИФЫ, ИЗОБРАЖАЮЩИЕ ЖЕНЩИНУ

Фактически, впервые в грузинской историографии, проведённые авторами изыскания однозначно показывают изменение общественного статуса женщины во времени. В частности, характерный для в позднехеттской эпохи гендерный дисбаланс _ в отличие от хеттской эпохи позднехеттском обществе роль мужчины по сравнению женщиной значительно возрастает. Авторы предлагают собственную точку зрения по поводу причин происходящих изменений в общественной жизни древней Анатолии в X-VIII вв. до. н. э.

კველი ანატოლიის სამხედრო საქმის ისტორიის ამსახველი ლუვიური იეროგლიფები

ხეთური ლურსმული ტექსტებისგან განსხვავებით, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებულმა წარწერებმა სამხედრო აღჭურვილობის და სამხედრო საქმის ამსახველ ტერმინოლოგიაზე გაცილებით ნაკლები ინფორმაცია შემოგვინახა, რასაც, როგორც ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ობიექტური მიზეზები განაპირობებდა.

სადღეისოდ არსებული მონაცემებით, იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში სამხედრო აღჭურვილობასთან დაკავშირებული იეროგლიფურ-ლუვიური 8 ნიშანი მოწმდება. ესენია:



ციხე-სიმაგრე ლოგოგრამა, ფონეტიკური ნაკითხვა *harnas(a)*; პ. მერიჯის ვარიანტით 196 – *harnas*.



ლაშქარი ლოგოგრამა, ფონეტიკური კომპლემენტი *la(n)*, ფონეტიკური ნაკითხვა უცნობია.



ლოგოგრამა 1. ფონეტიკური ნაკითხვა *warpa*, მნიშვნელობა უცნობია; 2. ფონეტიკური ნაკითხვა *hatali-*; ზმნა, მნიშვნელობა უცნობია. II დეტერმინატივი ზმნის *tupi-* დარტყმა.



ლოგოგრამა, ფონეტიკური ნაკითხვა და მნიშვნელობა უცნობია.



ლიგატურა ხმალი (?) + 175 ლოგოგრამა (სამეფო ტიტულატურის ნაწილი) ფონეტიკური ნაკითხვა და მნიშვნელობა უცნობია.



1 გაყოფა, განმენდა, ლოგოგრამა, ფონეტიკური წაკითხვა და ფონეტიკური კომპლემენტი (-)wala?



ეტლი ლოგოგრამა; 1. ფონეტიკური წაკითხვა ან ფონეტიკური კომპლემენტი (-)warina? 2. ფონეტიკური წაკითხვა ან ფონეტიკური კომპლემენტი (-)kusa? მერიჯთან 267 ნიშანია.



მეეტლე ლოგოგრამა ფონეტიკური წაკითხვა ismanala-

არანაკლებ საინტერესოა სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებული იეროგლიფურ-ლუვიური ტერმინოლოგია, რომელიც ტოპადას, ანქოზის, ეგრი-ქოის, იზგინის არქეოლოგიური გათხრების პროცესშია აღმოჩენილი, რაც კარგად ჩანს შემდეგიდან: „ბრძანა ვასურმემ, დიდმა მეფემ, მე ვარ დიდი მეფე ვასურმე, შვილი დიდი მეფე თუვანთის... და ქალაქ პარვიტაში არავინ მეფობდა და მე ცხენოსანთა ლაშქარი გავუშვი ქვემოთ(?) და ეს პარვიტა მე .. ან და იგი მოვიდა მთელი თავისი ცხენოსანი ლაშქრით და ქვეითი ლაშქრით. იგი ქალაქ პარვიტაში (თავისი?) მიწიდან მოვიდა. და ... ქალაქის კედელი (გალავანი) დაანგრია(?) ქალებიც? მაგრამ დიდებულნი მე .. და ჩემი ბატონი თარხუნთი, შარუმა X და Y წინ მიმიძღოდნენ. და ჩემი ცხენოსანი ლაშქარი მას.. (დაედევნა) და ცხენები სამი წლის იყვნენ. ხოლო თარხუნთიმ მას წაართვა ხელისუფლება და (რადგან) ის ბოროტებას ჩადიოდა... მე პირიქით, თარხუნთი, შარუმა, X და Y სანყალს (?) ხელისუფლებას. ასევე მე ... დიდ ძალაუფლებას (?) ...წელს. მის სისხლს და მის ქვეყნის ღვთაებას თარხუნთი, შარუმა, X და Y (მას) წაართმევენ!”A[1, 123-126].

ეგრიქოიში აღმოჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში საფორტი-ფიკაციო ნაგებობაა მოხსენიებული. მაგ-

ალითად, „ღვთაება თარხუნთის მსახური, საყვარელი ღვთაე-
ბებისა... ძმა ძმისწულისა ჩამოვიდა (?) ერთგული ვასალი...
სადაც არ უნდა (ყოველ შემთხვევაში) ასევე ციხე-სიმაგრეე-
ბი...”[2, 27].

„... ვინც ჩემი სახელი და ეს სიტყვა... შეიჯავროს ჩაქუ-
ჩით მოინდომებს ამოტიფრას”... სავარაუდოა, რომ ამ სი-
ტყვებს ამგვარი წარწერებისთვის დამახასიათებელი კრულ-
ვის შემცველი ტექსტი აგვირგვინებდა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკვლევ საკითხთან და-
კავშირებით, ხეთური ლურსმული ტექსტები გაცილებით მეტ
ინფორმაციას გვანვდიან. ამ მხრივ, მნიშვნელოვან პირველ-
წყაროს ხეთი მეფეების ანალები და საზავო ხელშეკრულე-
ბასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარმოადგენს. ეს
სავსებით კანონზომიერია, რადგან ამ ხასიათის წერილობით
ტექსტებში ძირითადი აქცენტი სწორედ მეფეთა მიერ ჩატარე-
ბულ სამხედრო ოპერაციებზეა გადატანილი. ასეთ ვითარე-
ბას ანიტას (ძვ. წ. XVIII საუკუნის შუა ხანები), ხათუსილი I-ის
(ძვ. წ. 1650-1620 წწ.), მურსილი I-ის (ძვ. წ. 1620-1590 წწ.),
თუთხალია I/II-ის (ძვ. წ. 1460-1370წწ.), არნუვანდა I-ის (ძვ.
წ.1420-1400წწ.), სუფილულიუმა I-ის (ძვ. წ. 1365-1340წწ.),
მურსილი II-ის (ძვ. წ. 1320წ.) სახელით შედგენილ ტექსტებში
არაერთგზის ვადასტურებთ. ასე მაგალითად, „...ქ. ალალხას
წავედი და იგი გავანადგურე. შემდეგ კი ქ. ვარსუვას წავე-
დი. ვარსუვადან ქ. იქაქალიში გავსწიე, ხოლო იქაქალიდან ქ.
თასხინიაში წავედი. ეს ქვეყნები გავანადგურე, ხოლო მათ
ავლა-დიდებას დავეუფლე და ჩემი სახლი ავლა-დიდებით აღ-
ვავესე”.

“...და ულმას მცხოვრებლებმა ბრძოლის წინ ორჯერ
მიხილეს და მე მათ სწორედ ორჯერ შევებრძოლე, ხოლო
ულმას ქვეყანა გავანადგურე, მისი ადგილი [სარეველა] ბალ-

ახით(?) აღვავსე და შვიდი ღვთაება არინას მზის ქალღმერთის ტაძარში მოვათავსე” KBo X 1, 2.

ან „...(შემდეგ) ხასუვაში წავედი. ხასუვას მცხოვრებლები ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად მოვიდნენ. ლაშქარი ხალფას ქვეყნისა მათთან ერთად (დასახმარებლად) იყო მოსული... რამდენიმე დღეში მდ. ფუხუნა გადავლახე და ხასუვას ქვეყანა ლომისებრ ფეხებით გავთელე” KBo X 1, 2.

და კიდევ, „მდ. მალა (=ეფრატი) არავის (ხეთების მეფეთაგან) მანამდე არ გადაულახავს და იგი მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ, ფეხით გადავლახე. [ჩემმა] ლაშქარმაც ფეხით გადალახა – და იგი სარგ[ონმაც გადალახა]. ხახხას მეომრებს შეებრძოლა. [ხახხას კი მის შემდეგ] არაფერი (ცუდი) არ გაუკეთებია და იგი არავის არ გადაუწვავს. [კვამლი მისი] ცის ღვთაებას ტაროსს არ [მისვლია]” KBo X 1, 2.

ანალოგიური ვითარება მოწმდება მურსილი II-ის ანალებშიც: „იახრესაში გავემართე, დღეები ლამეებად ვაქციე, ლაშქარი სწრაფი ნაბიჯით წავიყვანე. მე დიდი მეფე, ფეხოსნებთან და ეტლოსნებთან ერთად მალვით მივდიოდი... მე წავედი და ფიგაინარესას ქვეყანას მძინარეს, თავს დავესხი”.

„...აცის ქვეყნისაკენ ხელმეორედ დავადექი გზას და ინგალავაში ფეხოსნების და ეტლოსნების (სამხედრო) დათვალელება მოვანყე”. „...და მე არიფსაში [წავედი საბრძოლველად]. ხსენებული არიფსა კი ზღვაზე მდებარეობს. რაც კი მოსახლეობა იყო ქალაქში, მთებმა და კლდეებმა შეიფარეს... არიფსა ბრძოლით ავიღე... ჩემმა ფეხოსნებმა და ეტლოსნებმა ციხე-სიმაგრის ავლა-დიდება, დეპორტირებულებთან, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელთან ერთად დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს” [3, VI].

არანაკლებ ინტერესს იმსახურებს თელიფინუს ტექსტი, სადაც სამეფოს სოციალური იერარაქიის სათავეში მდგომ

პირთა შორის „მცველთა უფროსი“, „ეტლოსანთა მთავარი“, „რაზმის ზედამხედველი“ მოიხსენიებიან. მაგალითად, „...მაგრამ ხათუსაში დიდებულნი (სახელდობრ), სასახლის მამანი, სასახლის ძეთა უფროსი, მეღვინეთა მთავარი, მცველთა უფროსი, ეტლოსანთა მთავარი, რაზმის (?) ზედამხედველი – [მეფის] სახლში რომელი დიდებულიცაა, - გარდა ამისა, რომელი მდაბოცაა, აი, ესენი პატივცემულნი უნდა იყვნენ!“ [4].

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხეთი მეფეების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხელშეკრულებებიცაა გასათვალისწინებელი, სადაც როგორც ხეთების, ასევე, მათი მეზობელი პოლიტიკური ერთეულების სამხედრო აღჭურვილობა არაერთგზისაა მოხსენიებული. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილ ამ ხასიათის დოკუმენტში, რომელიც ხეთების მეფე სუფილულიუმას „ხაიასას კაცებთან“ და კერძოდ, ხუკანასთან აქვს დადებული, ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „...თუკი რომელიმე მტერი „მზის“ (წინააღმდეგ) გამოიწვევს, ანდა ვინმე მტრულ ამბოხებას მოაწყობს და მე შენ გაცნობებ, ხოლო თუკი მას შენ ქვეითი მეომრებითა და ეტლოსნებით მყისვე არ მეახლები, (ანდა) თუკი მას შენ კვლავ ხელს მოუმართავ, ხოლო როდესაც შენ (ამბოხების შესახებ) პირადად მოისმენ და შენ მაშინაც იქ მყისვე არ მეახლები, დაე ამ ღვთაებრივმა ფიცმა გაგანადგუროს!“ KBoV, KUB XIV, XIX [5].

ძველ ახლოაღმოსავლური ხანის სამხედრო საქმის ისტორიასთან დაკავშირებით არანაკლებ ინფორმაციულია მურსილი II-ისა და ამურუს (ჩრდილოეთი სირიის) მმართველის დუფი-თეშუბის ხელშეკრულება: „...როგორც მე „მზემ“, შენ, დუფი-თეშუფ, დაგიცავ, ასევე შენ „მზისთვის“ და ხათის ქვეყნისთვის დამხმარე რაზმები იყავი! თუკი ახლა ხათის ქვეყანას ვინმე ბოროტ საქმეს გაუჩინს - „მზეს“ [ვინმე] აუმ-

ბოხდება, შენ კი ამას გაიგებ, შენი [ქვეითი რაზმებით] და შენი საომარი ეტლებით მას (=ხათის ქვეყანა) დაეხმარე და [ხათის ქვეყნის მეფესთან] დროულად წარსდექი როგორც დამხმარე. მაგრამ თუკი შენ არ შეგეძლება დახმარება, მაშინ [შენი] ძე ან შენი ძმა დასახმარებლად გაუგზავნე ხათის ქვეყნის მეფეს შენი ქვეითი რაზმებით და შენი [საომარი ეტლებით]. მაგრამ თუკი [შენს ძეს] ან შენს ძმას ქვეითი რაზმებითა და საომარი ეტლებით ხათის მეფეს დასახმარებლად შენ არ გაუგზავნი, მაშინ შენ (ამით) ღვთაებრივ ფიცს დაარღვევ!" KUB III, XIV; KBo v [6].

საკვლევი საკითხის სრულყოფილი წარმოჩენისათვის ხეთური სამხედრო ტერმინოლოგიაცაა გასათვალისწინებელი. ხეთურ ტექსტებში არაერთგზის მოწმდება: დანა, დაშნა, მახვილი kingali-?kingalada(?) [7: 49], სტილეტი ^(URUDU)ispatar [8: 13], შუბი ^{GIŠ}šiyattal(=^{GIŠ}ŠU.I) [9: 57], ხანჯალი, დანა (^{GIŠ/URUDU})GÍR, ხმალი ^(URUDU)GÍR.GAL-(^{URUDU})UL₄.GAL), დასარტყამი იარაღი hazziul-(?) [8: 65], (საბრძოლო ეტლი ^{GIŠ}hurki-; ^{GIŠ}zaltaya-/zalta(?), (საბრძოლო) ეტლებზე ამხედრებული მეომრები ANŠE.KUR.-RA^{MEŠ}, (10: 23-24], (საბრძოლო ეტლის სახეობა) ^{GIŠ}GIGIRAT(T)-ARTU(WATTARTU), დასაჯდომი (საბრძოლო) ეტლი ^{GIŠ}GIGIRASĀBI [10: 52], (ჯარის იარაღით) აღჭურვა, საომრად მომზადება putalliya-, იარაღით აღჭურვილი, შეიარაღებული, საომრად მომზადებული putalliyant-[11: 68]. (იხ. ქვემოთ).

საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც იეროგლიფურ-ლუვიური, ასევე, ხეთური ლურსმული წერილობითი ნყაროების ჩვენებებს ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული არტეფაქტებიც ადასტურებს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო მონაცემებს დღევანდელი



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3

თურქეთის – ანკარის, ბოლაზქალეს, ალაჯა-ჰუიუქის, ნევშე-ჰირის, კაისერის და სხვა მუზეუმების ექსპოზიციებში მრავლად ვადასტურებთ, სადაც ხეთური ხანის სამხედრო აღჭურვილობის არაერთ ნიმუშს ვხვდებით (შუბისპირი, დანა, საბრძოლო ეტლი, ურო, სატევარი, ჯაჭვი...).

თუ ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს ერთობლიობაში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სამხედრო აღჭურვილობის ამსახველი ზემომოყვანილი ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები, სიმცირის მიუხედავად, სრულ შესატყვისობაშია როგორც ხეთური ლურსმული, ასევე, იეროგლიფურ-ლუვიური ეპიგრაფიკული ძეგლების, ლექსიკოლოგიური მასალის და არქეოლოგიური არტეფაქტების მონაცემებთან.

რაც შეეხება გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობით შესრულებულ ტექსტებში სამხედრო აღჭურვილობასთან და სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებული არტეფაქტების სიმცირეს, იგი გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სპეციფიკით აიხსნება.

* მოხმობილი არქეოლოგიური არტეფაქტები ბოლაზქალეს, ნევშე-ჰირის და ალაჯაჰუიუქის მუზეუმებშია დაცული.

დამონმებული პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა

1. Meriggi P. Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967.
2. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi _ 2aE3a SERIE, Roma, 1975.
3. მურსილი II-ის ანალები თარგმნა ი. ტატიშვილმა, თარგმანი ეყრდნობა ტექსტის შემდეგ გამოცემას: Goetze A., Die Annalen des Muršiliš, “Mittelungender Vorderasiatisch-Agyptischen Gesellschaft”, b. 38, Leipzig, 1933.
4. ხეთურიდან ქართულად ითარგმნა პირველი გამოცემიდან: Hoffmann I., Der Erlab Telipinus, Heidelberg, 1984, (თარგმნა გ. გიორგაძემ)
5. Friedrich J., Staatsverträge des Hatti-Reiches in hethitischer Sprache, Leipzig, 1930, (თარგმნა გ. გიორგაძემ).
6. Friedrich J., Staatsverträge des Hatti-Reiches in hethitischer Sprache, Leipzig, 1926, 48, (თარგმნა გ. გიორგაძემ).
7. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 3 K, თბილისი, 2009.
8. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი2 EE-ჟ-I, თბილისი, 2007.
9. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 6 Ⴎ, თბილისი, 2012.
10. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 9 შუმ-ერო-გრამები, თბილისი, 2013.
11. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 5 P, თბილისი, 2011.

LUWIAN HIEROGLYPHS REFLECTING THE HISTORY OF MILITARY SCIENCE OF ANCIENT ANATOLIA

The object present research are Luwian hieroglyphs related to military equipment. As a result of comparison of hieroglyphic-Luwian epigraphic monuments with cuneiform texts on the same topic (kings' annals, state treaties), terminology reflecting equipment on archaeological artefacts discovered in the Ancient Near East, the authors arrive at the conclusion that Luwian hieroglyphs related to military equipment, in spite of their small number, fully reflect the information of the above-mentioned sources.

ЛУВИЙСКИЕ ИЕРОГЛИФЫ, ОТНОСЯЩИЙСЯ К ИСТОРИИ ВОЕННОГО ДЕЛА ДРЕВНЕЙ АНАТОЛИИ

Объектов исследования являются лувийские иероглифы относящийся к истории военного дела древней Анатолии. Сравнительный анализ лувийско-иероглифических и хеттских клинописных письменных памятников (анналы царей, государственные договоры), терминологические и археологические артефакты приводят авторов к однозначному выводу, согласно, которому, несмотря на малочисленность дошедших до нас лувийских иероглифов, они являются первостепенными первоисточниками для реконструкции истории военного дела древней Анатолии.

რიცხვითი სახელჯის აღმნიშვნელი ლუპიური იეროგლიფები

ჩვენი კვლევის ობიექტი ემ. ლარომის მიერ მეცხრე ჯგუფად გამოყოფილი (იხ. ზემოთ) იეროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელებია [1, 17], რადგან ისინიც დამატებით საყურადღებო ინფორმაციას გვანვდიან იმ ძველ-აღმოსავლური საზოგადოების ცოდნის დონის შესახებ, რომელიც ამ დამწერლობით სარგებლობდა. აქვე დავძენთ, რომ არცერთ სადღეისოდ ცნობილ იეროგლიფურ-ლუვიურ ეპიგრაფიკულ ძეგლში რიცხვითი სახელი არ მოწმდება, გარდა კულულუში გასული საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი წარწერიანი ტყვიის ფირფიტებისა, რომლებიც სამეურნეო-საგადასახადო აღრიცხვის მიზნით იყო შედგენილი [2, 33-37].

განსხვავებით შუმერული, აქადური, ხეთური რიცხვითი სახელების სისტემებიდან, სადაც რიცხვითი სახელები რაოდენობითი, რიგობითი, ჯერობითი, გამანაწილებელი და წილობითი ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი [3, 41-45; 4, 59- 64...], კულულუს ტყვიის ფირფიტებზე მხოლოდ რაოდენობით რიცხვით სახელებს ვხვდებით. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ სხვა ანალოგიურ წერილობით ძეგლებში, რომლებმაც რიგი გარემოების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია, რიცხვითი სახელების სისტემა ისეთივე სრულყოფილი იყო, როგორც ეს ზემოხსენებულ ლურსმულ დამწერლობებშია. შესაძლოა, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის ნაკლებობა იმითაც იყოს განპირობებული, რომ, როგორც ვარაუდობენ, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებული დოკუმენტები ხეზე ფუნჯითა

და შავი საღებავით ინერებოდა და ამ მიზეზით საუკუნეებს ვერ გაუძლო.

კულულში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ტყვიის ფირფიტებზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითი 28 სახელები დასტურდება. 1-დან 9-მდე აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ვერტიკალური ხაზებითაა გადმოცემული, ათეულები – ჰორიზონტალურით. რაც შეეხება ასეულებს, რომელსაც ფირფიტებზე მრავალგზის ვხვდებით, მათ ცეცხლსაჩხრეკი ფორმის ფიგურები განასახიერებს. იეროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელების გადმოცემისას, ამ დამწერლობისათვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებასაც ვადასტურებთ. ასზე მეტი მრგვალი რიცხვები ასის აღმნიშვნელი იეროგლიფის განმეორებით ხორციელდება (200, 300, 400), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის ავტორს ესაჭიროება ისეთი რაოდენობრივი რიცხვის წარმოჩენა, როგორიცაა 141, 232 და ა. შ. იგი ასეულის აღმნიშვნელ ფიგურას ქვემოთ ჯერ ათეულების (ჰორიზონტალურ) და ბოლოს ერთეულების (ვერტიკალურ) ხაზებს უმატებს. იგივე მეორდება ისეთი რიცხვითი სახელების დაწერილობისას, როგორიცაა: 15, 32, 68...

იეროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელების ფონეტიკური ამოკითხვა ჯერჯერობით არ ხერხდება. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს ოთხისა და ცხრის (mi, nu) აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები წარმოადგენს. ხეთური და ლუვიური ლურსმულის, A და B ლიკიურის მსგავსად 4-ისა და 9-ის აღმნიშვნელი ფონეტიკური წაკითხვა აკროფონულ პრინციპზეა დამყარებული.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიაში მდებარე თაბალის ტერი-

ტორიაზე*, დღევანდელ კულულუში აღმოჩენილ ტყვიის ფირფიტებზე შესრულებული დოკუმენტური ჩანაწერებიდან ფრაგმენტს მოვიყვანთ. დოკუმენტში საუბარია თაბალის ქალაქების (თივარალი, ზემო თუნა, ქვემო თუნა და თუნა, ასაჰაიალარა, სუნავარა, მურათი, სუნაქათა, აჰათიკუკურაი, არუსალისი) მცხოვრებთათვის განეული შრომის ანაზღაურების მიზნით გაცემული ცხვრების რაოდენობის შესახებ. (აქვე დავძენთ, რომ კულულუს ნარწერის სხვა ფრაგმენტებში ხარებისა და ქერის რაოდენობაცაა მითითებული).

იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტი [5, 148] გვამცნობს: 32 ცხვარი მუვაჰისმა ნის მისცა. 68 ცხვარი ლალისმა პარასათას (?) მისცა კუკისთვის. 140 ცხვარი 7 ქანდაკებას მივეცით ქალაქ ასაჰაიალარაში 40 ცხვარი ნუნუს. 30 ცხვარი 3 ნაცვალს. 30 ცხვარი მივეცით კულის, თუმისის, თუთუს, (მამაკაცები?) ქალაქ სუნავარაში. 20 ცხვარი სათანუს. 40 ცხვარი...(?) 4. 20 ცხვარი...(?) 2. 100 ცხვარი 5 ქანდაკებას ქალაქ მურათში. 20 ცხვარი კვისაის, პალუსს, ქალაქ სუნაქათაში. 100 ცხვარი 5 ქანდაკებას ქალაქ თივარალში. 20 ცხვარი 2 მონადირეს. 141 ცხვარი 3 ქანდაკებას, ქალაქ აჰათიკუკურაიში. 15 ცხვარი მათ მისცეს ქალაქ არუსალისის...(?). 200 ცხვარი ათივარარსს. 20 ცხვარი...(?). 14 ცხვარი ქალაქ ასაილარაიდან ... (?) ბრძანებით მოიტანეს.

იეროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელების ისტო-

* თაბალი ასურული ლურსმული და იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლების მონაცემთა კონტექტსში დიდი კაპადოკიის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში, დღევანდელი გურუნ-შაჰრიპოზანდიდან (მდინარე სეი-ჰანის ზემო დინებიდან) დასავლეთით, დღევანდელი პოზანდი-ზეივე-ბორიჩიფლიქის ხაზიდან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით, დღევანდელი სულთანხანი-კაისერისუვასა-ტოპადადან აღმოსავლეთით (მდინარე ჰალისიდან, დღევანდელი ყიზილ-ირმაკიდან აღმოსავლეთით) მდებარეობდა [5, 25-61].

რიის რეკონსტრუქცია, მასალის სიმწირის მიუხედავად, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდების შესწავლა პერსპექტიულიცაა და აუცილებელიც.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Laroche E., Les Hieroglyphes Hittites, Paris, 1960.
2. ნ. ბახსოლიანი, ტყვიის ფირფიტები კულულუდან, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბილისი, 2008.
3. ჯ. შარაშენიძე, შუმერული ენის გრამატიკა, თბილისი, 2005.
4. ი. ტატიშვილი, აქადური ენა, თბილისი, 2009.
5. ნ. ხაზარაძე, ძველალმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001.
6. J. D. Hawkins, The Kululu lead strips economic documents in Hieroglyphic Luwian, AnSt, vol. XXXVII, London-Ankara, 1987.

ЛУВИЙСКИЕ ИЕРОГЛИФЫ, ОБОЗНАЧАЮЩИЕ ЧИСЛИТЕЛЬНЫЕ

Предметом нашего исследования является девятая группа лувийских иероглифов, выделенная Э. Ларошем (см. выше), — имена числительные [1, 7], поскольку последние дают нам дополнительную, весьма примечательную информацию об уровне знаний древневосточного общества, пользовавшегося этой письменностью. Здесь же заметим, что ни на одном из известных на сегодняшний день иероглифических лувийских эпиграфических памятников числительные не засвидетельствованы, кроме памятников, обнаруженных в Язылыкая и Кулюлю. Особого внимания заслуживают выявленные в Кулюлю во второй половине прошлого века свинцовые пластины с надписями, составленными с целью хозяйственно-налогового учета [2, 33-37].

В отличие от шумерской, аккадской, хеттской систем имен числительных, в которых последние представлены в виде групп количественных, порядковых, кратностных, делительных и дробных числительных [3, 41-45; 4, 59-64...], на свинцовых пластинах из Кулюлю мы встречаем только количественные числительные. Однако данное обстоятельство вовсе не исключает предположения, что в других аналогичных письменных памятниках, в силу ряда причин не дошедших до нас, система имен числительных была столь же совершенной, как это имело место в вышеупомянутых клинописных письменностях. Возможно, недостаток интересной для нас информации обусловлен и тем, что, как полагают, иероглифическим лувийским письмом документы выполнялись на дереве кистью и черной краской и поэтому не сохранились, не выдержали испытаний временем.

На обнаруженных в результате археологических раскопок в Кулюлю свинцовых пластинах, как уже отмечалось выше, зафиксированы только 28 количественных имен числительных. Числительные от 1 до 9 переданы вертикальными линиями, десятки – горизонтальными. Что касается сотен, многократно встречающихся на указанных пластинах, они имеют форму кочерги. В начертании иероглифических лувийских имён числительных мы обнаруживаем еще одну особенность. Круглые числа больше 100 (200, 300, 400) изображаются повторением иероглифа, обозначающего 100. Но в том случае, когда автору документа требуется показать такое количественное число, как, например, 141, 232 и проч., он добавляет снизу к фигуре, обозначающей сотню, сначала горизонтальные линии (десятки), а в конце вертикальные (единицы). Тот же принцип соблюдается при написании таких числительных, как 15, 32, 68 ...

Фонетическая дешифровка иероглифических лувийских числительных пока не удается. С этой точки зрения исключения представляют лувийские иероглифы, обозначающие числа 4 и 9 (mi, ni). Подобно хеттской и лувийской клинописи, ликийскому А и В, фонетическое прочтение чисел, обозначающих 4 и 9, основано на акрофоническом принципе.

Для иллюстрации вышесказанного приведем фрагмент документальных записей, выполненных на свинцовых пластинах, обнаруженных на расположенной в восточной части Малой Азии позднехеттской эпохи территории Табала*, в

* Табал в контексте данных письменных памятников ассирийской клинописи и иероглифического лувийского находился в юго-западном секторе Великой Каппадокии, к западу от современного Гюрюн-Шахрипозанда (верховье р. Сейхан), к северу и северо-западу от нынешней линии Позанд-Зельве-Боричифлик, к востоку от линии Султанхан-Кайсери-Сивас-Топад (восточнее р. Галис, нынешней р. Кызыл-Ирмак) [5, 25-61].

современном Кулюлю. В документе говорится о количестве овец, розданных с целью вознаграждения за выполненный труд жителям городов Табала (Тиварал, Верхняя Туна, Нижняя Туна и Туна, Асахайалар, Сунавара, Мурат, Сунаката, Ахатикукурай, Арусалис). Здесь же заметим, что в других фрагментах надписи из Кулюлю указано также количество быков и ячменя.

Иероглифический лувийский текст [6, 148] свидетельствует: 32 овцы Мувахис дал Ни. 68 овец Лалис дал Парасата (?) для Куки. 140 овец мы дали 7 идолам в городе Асахайалар, 40 овец [дали] Нуну. 30 овец 3 заместникам. 30 овец мы дали Кули, Тумиси, Туту (мужчины?) в городе Сунавара. 20 овец Сатану. 40 овец ... (?) 2. 100 овец 5 идолам в городе Мурат. 20 овец Квисаю, Палусу, в городе Сунаката. 100 овец 5 идолам в городе Тиварал. 20 овец 2 охотникам. 141 овцу 3 идолам в городе Ахатикукурай. 15 овец они дали ... (?) города Арусалис. 200 овец Ативарарсу. 20 овец ... (?). 14 овец из города Асайларай принесли по приказу ... (?).

Реконструкция истории лувийских иероглифов, обозначающих числительные, несмотря на скудность материала, еще раз свидетельствует о том, что изучение семантических кодов лувийских иероглифов является делом перспективным и в то же время необходимым.

Использованные источники и литература

1. Бахсолиани Н. Свинцовые пластинки из Кулюлю // Труды Института истории и этнологии. VIII. _ Тб., 2008. _ Груз.
2. Laroche E., Les Hieroglyphes Hittites, Paris, 1960.
3. Шарашенидзе Дж. Грамматика шумерского языка. _ Тб., 2005. _ Груз.
4. Татишвили И. Аккадский язык. _ Тб., 2009. _ Груз.
5. Хазарадзе Н. Древневосточные и картвелологические разыскания. _ Тб., 2001. _ Груз.
6. J. D. Hawkins, The Kululu lead strips economic documents in Hieroglyphic Luwian, AnSt, vol. XXXVII, London-Ankara, 1987.

იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობისა და ენის შესახებ

ცნობილია, რომ ძვ. წ. XVI საუკუნეში მცირე აზიაში მცხოვრებმა, ხეთების მონათესავე ლუვიელებმა ორიგინალური დამწერლობა შექმნეს, რომლის ამოკითხვას მეცნიერებმა ათწლეულები მოანდომეს.

სადღეისოდ 500-მდე ლუვიური იეროგლიფია ცნობილი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ეს დამწერლობა თავდაპირველად საკულტო დანიშნულების იყო. საკანცელარიო ხეთური ლურსმულისაგან განსხვავებით, იეროგლიფურ-ლუვიური რელიგიურ მონუმენტურ დამწერლობას ასახიერებდა. გვიანხეთურ ხანაში (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი) იგი სეკულარიზაციას განიცდის. მკვიდრდება სამშენებლო და მიძღვნილი ხასიათის წარწერების შექმნის ტრადიცია. ყიზილ-დაღის, ყარა-დაღის, ბურუნქაიას მთიანეთში, ყარათეფეზე (კილიკია), ქარხემიშში (ჩრდილოეთი სირია, დღევ. ჯერაბლუსი) მეფე-მთავრები (ხართაფუ, აზითავადა, იარირისი, ქათუვასი...) ანალების ტიპის წერილობით ძეგლებს ქმნიან. დღევანდელი კულულუს ბინადარნი ტყვიის ფირფიტებზე სამეურნეო-საგადასახადო დანიშნულების დოკუმენტებს ადგენენ.

იეროგლიფურ-ლუვიური ეპიგრაფიკული ძეგლების გავრცელების ჩრდილოეთი საზღვარი ალაჯა-ჰუიუქთან გადის, აღმოსავლეთი ჰინესთან, ზემო მესოპოტამიაში, ხოლო სამხრეთი – ჰამათზე, სირიაში. თუმცა, ამ დამწერლობით შესრულებული ქვაზე ამოკვეთილი ცალკეული წარწერები სიპილოსში, ყარაბელში, კვიპროსზე, ბაბილონში, ირანში და სხვა პუნქტებშია აღმოჩენილი. ამ წარწერების რაოდენობა

300-ზე მეტია, 800-ს აღემატება საბექდავებზე მოთავსებული იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების რაოდენობა. ხეთების დროინდელი საბექდავები, რომლებმაც უმთავრესად ანაბექდების სახით მოაღწია ჩვენამდე, ხშირად ორენოვანია. ისინი, ძირითადად, ხეთი მეფეების სახელებს, ტიტულატურებსა და გენეალოგიებს გვაცნობენ (ბოლაზქოი, ტარსუსი, უგართი). ხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ხეთი მეფეების კლდეში ნაკვეთ რელიეფებზედაცაა დადასტურებული, სადაც მეფეების გამოსახულებები და მსხვერპლშენირვის სცენებია აღბეჭდილი. ზოგჯერ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ღვთაებათა სახელებს გვაცნობს, ზოგჯერ რიტუალური ხასიათის ტექსტებს.

იეროგლიფურ-ლუვიური ენა ლურსმული ლუვიურის მონათესავეა. ძველი ანატოლიის ეს ორი ენა A და B ლიკიურთან, პისიდიურთან, ლიკაონურთან, სიდეტურთან ერთად ძველი ინდოევროპული ენების ანატოლიური (ხეთურ-ლუვიური) ჯგუფის ლუვიურ ქვეჯგუფადაა მიჩნეული. როგორც წესი, ლუვიური იეროგლიფი ღია მარცვლის სახითაა წარმოდგენილი - ხმოვანი ან თანხმოვანი- ხმოვანი. თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც, როდესაც იეროგლიფური ნიშანი რომელიმე ასო-ბგერას შეესაბამება. იეროგლიფურ-ლუვიურ ლოგოგრამებსა და დეტერმინატივებს ზოგჯერ ფონეტიკური კომპლემენტები ახლავს, რომლებიც სიტყვის ფუძის ბგერით შემადგენლობას და ფლექსიას გვაცნობს.

არსებობს ლუვიური იეროგლიფების კლასიფიკაციის რამდენიმე ვერსია. ემ. ლაროშის მიერ შემუშავებული საკმაოდ არგუმენტირებული კლასიფიკაციის მიხედვით, ლუვიური იეროგლიფები ფუნქციის გათვალისწინებით, შესაძლოა ათ ჯგუფად დაიყოს. იეროგლიფური ნიშნების პირველი ჯგუფი ადამიანებთან, მის სხეულთან, სოციალურ სტატუსთან,

სხვადასხვა ქმედებებთან დაკავშირებულ ცნებებს ასახიერებს (მე, ადამიანი, თავი, ხელი, ფეხი, ტერფი, ქალი (სამოს სახით), დედა, ქალბატონი, დედოფალი, მეფე, დიდი მეფე, ბავშვი, ვაჟი, უფლისწული (ქალი, ვაჟი), ძმა, გმირი, ძლიერი, მრისხანება, საუბარი, აღება, დადება, მიტანა, თაყვანისცემა, რიტუალის აღსრულება და ა. შ.), მეორე – ცხოველებს (ძალი, ცხენი, სახედარი, ირემი, ხარი, ცხვარი, კურდღელი, ლომი...), მესამე – მცენარეებს (პურის თავთავი, ბროწეული, ყურძნის მტევანი, მარადმწვანე ხე ეა...), მეოთხე – მნათობებს, ბუნების მოვლენებს, ლანდშაფტს (ცა, მზე, მთვარე, ექვსქმიანი და მრავალსხივიანი ვარსკვლავები, ელვა, მინა, დაბლობი, მთა, მდინარე, წყალი, წყაროს სათავე, აღმოსავლეთი, დასავლეთი...), მეშვიდე – ჭურჭელს, მერვე — სიმბოლოებს (ღვთაების, ქალღვთაების, მეფის, ქურუმის, მოსამართლის აღმნიშვნელი სიმბოლოები...), მეცხრე – რიცხვებს, გეომეტრიულ ფიგურებს (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ასი...), მეათე ჯგუფში ჯერჯერობით დაუდგენელი სემანტიკის იეროგლიფებია გაერთიანებული.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ ბოლო წლების მანძილზე ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ევფრატისპირეთში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა უდიდესი რუდუნებით შექმნილი ლურსმული და იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სხვა უნიკალურ არტეფაქტებთან ერთად, რომელთაც ათასწლეულებს გაუძლეს, ფაქტობრივად, პირისაგან მიწისა აღგავა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ტრაგიკულ მიზეზთა გამო, ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის მკვლევარი ამიერიდან, ხშირ შემთხვევაში, ეპიგრაფიკული ძეგლების ორიგინალებთან შეხვედრით მინიჭებულ სიხარულს ველარასდროს დაიბრუნებს.

შინაარსი

საკუთარი სახელის TELIPINU ამსახველი ლუვიური იეროგლიფის გენეზისისათვის.....	3
К генезису лувийского иероглифа, обозначающего собственное имя TELIPINU.....	10
უზენაესი ღვთაების თარხუნთის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები.....	17
ქალის გამოსახულებიანი ლუვიური იეროგლიფები	31
Luwian Hieroglyphs with the Representation of Women.....	37
ძველი ანატოლიის სამხედრო საქმის ისტორიის ამსახველი ლუვიური იეროგლიფები.....	42
რიცხვითი სახელების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები	51
Лувийские Иероглифы, Обозначающие Числительные	55
იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობისა და ენის შესახებ	59